# სარბიელი

სპორტული გაზეთი  პარასკევი 23 ივლისი 2004 №168 (2189)  ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ბურდული მანჩესტერში წავიდა




## გამოვა სიტი?

ბოლო დროს თბილისის „დინამოდან“ ფეხბურთელები მეტ-ნი[illegible]ად რუსეთ-უკრაინაში იფანტებიან, ლადო ბურდული კი გუშინ გაცილებით შორს წავიდა — პრემიერლიგელ „მანჩესტერ სიტიში“.

კონტრაქტი ჯერ ხელმოწერელი არაა, მაგრამ დინამოელი რომ რუსეთ-უკრაინის საფეხბურთო ტრანზიტის გარეშე ჩადის პრემიერლიგის გუნდში, საყურადღებო ფაქტია. ხოლო ის, თუ როგორ მოაწონებს თავს ბურდული სიტელთა მენეჯერ კევინ კიგანს, უახლოეს დღეებში გაირკვევა.

## ამერიკა დაგვეხმარა
### საქართველომ რუსეთი დაბომბა
### 87:71

ბარე სამწლიანი პაუზის შემდეგ საქართველოს საკალათბურთო ნაკრებმა პირველი მატჩი გუშინ იტალიაში გამართა და არცთუ სუსტი შემადგენლობით მოთამაშე რუსეთი ბეჭებზე დასცა. ძნელი დასათვლელია, რამდენ კაცს ჰქონდა წუხელ ჩვენს ნაკრებში დებიუტი, მაგრამ განსაკუთრებით მაინც „გაქართველებული“ ზანგი შემონდ უილიამსია გამოსარჩევი. უილიამსმა რუსებთან მატჩი ძირითადში დაიწყო მარკოიშვილთან, სანიკიძესთან, ბოისასთან და ფაჩულიასთან ერთად და 26 ქულას 6 პასიც მიაბა. 30 ქულა ჩააგდო ვლადიმერ ბოისამ, ხოლო მილუოკიდან ჩამოსულმა ზაზა ფაჩულიამ 20 ქულა და 21 მოხსნა გააკეთა.

რუსებს სან ჯორჯოში არ ჩაუყვანიათ ანდრეი კირილენკო, მაგრამ ჰყავდათ წლევანდელ დრაფტზე 23-ე ნომრად არჩეული სერგეი მონია, „ოლიმპიაკოსში“ გამობრძმედილი ალექსეი სავრასენკო, რუსული პრემიერლიგის ერთ-ერთი საუკეთესო გამთამაშებელი პიოტრ სამოილენკო და... მოკლედ, რუსეთს მოგება უნდოდა.

ქართველებმა მხოლოდ საწყისი მეოთხედი დათმეს (15:18), მერე კი ერთიანად აიშვეს და საბოლოოდ დიდი სხვაობით, 87:71 დაამარცხეს რუსები.

მოთამაშეებთან ერთად დებიუტი ჰქონდა საქართველოს ნაკრების თავკაც დრაჟენ ბრაიკოვიჩსაც, რომელსაც დღეს გაცილებით ძლიერი, შვედების 82:75 მძლეველი იტალიის ნაკრები ელის.

ასე რომ, პირველი დღის შემდეგ სან ჯორჯოს ტურნირის ლიდერი საქართველოა. თუ ხელი მიგიწვდებათ, იტალია — საქართველოს დღევანდელ მატჩს თბილისის დროით ღამის თერთმეტის ნახევარზე ნახავთ „რაი სპორტის“ არხზე...





Neuer Bundestrainer
Klinsi
Erlöse uns!
BILD enthüllt seinen Geheim-Plan für den deutschen Fußball

## ახალი ბუნდეს ამბავი

კონტრაქტზე ხელის მოწერაღა და გერმანიას ახალი მწვრთნელი ეყოლება — იურგენ კლინსმანი! ამას იუწყება გუშინდელი „ბილდი“.

კონტრაქტის გაფორმებას კი წინ აღარაფერი უდგას. კლინსმანსა და გერმანიის საფეხბურთო კავშირს ყველაფერი შეთანხმებული აქვთ. ამერიკაში მცხოვრებ 39 წლის კლინსის ბუნდესნაკრების გაწვრთნაში ძველი თანაგუნდელი ოლივერ ბირჰოფი და ბეკენბაუერის დროინდელი ნაკრების ერთ-ერთი მწვრთნელი ჰოლგერ ოსიეკი დაეხმარებიან.





## გერმანია კლინსმანს ჩაბარდა




# ბურდული: გამოვა სიტი?

ქართულ სატრანსფერო ბაზარზე ხმაურიანი ტრანსფერი მზადდება. თითქმის ოთხწლიანი პაუზის შემდეგ ქართველი ფეხბურთელი შესაძლოა, კვლავ გამოჩნდეს პრესტიჟულ ინგლისურ პრემიერლიგაში. გიორგი ქინქლაძის და თემურ ქეცბაიას გაკვალულ გზას გუშინ ლადო ბურდულიც დაადგა.

ადრეც ვწერდით, რომ ბურდული დღევანდელი „დინამოს“ მოთამაშედ არ ჩანდა და ის კლუბს მალე დატოვებდა. ისე აგიხდეთ ყველაფერი... ლადო ამსტერდამის გავლით დღეს საღამოს მანჩესტერში ჩაფრინდება, იქ კი „სიტის“ წარმომადგენლები დახვდებიან...

— მანჩესტერში „სიტის“ მიწვევით მივდივარ — გვითხრა გუშინ ლადომ ინგლისში გამგზავრებამდე.

ლადოს კარგად ახსოვს მწარე, კიევური გამოცდილება. მაშინ უკრაინის საუკეთესო კლუბში კონტრაქტზე ხელის მოსაწერად წავიდა, მაგრამ საბოლოოდ საქმე ჩაიშალა. ამიტომაც ის წინასწარ ლაპარაკს თავს არიდებს და ზოგადად საუბრობს ტრანსფერზე.

— ჩემთვის დიდი პატივია, რომ პრემიერლიგის კლუბი მიწვევს. ინგლისში თამაში ნებისმიერი ფეხბურთელის ოცნებაა. მგონია, რომ ჩემი სათამაშო სტილისგან პრემიერლიგა შორს არაა, მაგრამ ამაზე კონტრაქტზე ხელის მოწერის შემდეგ ვილაპარაკოთ.

გეხსომებათ, თუ რა რთული პერიოდი ედგა ლადოს, კიევში უარს ოთხთვიანი უქმობა მოჰყვა, რაც ტრავმით იყო გამოწვეული...

— რთული პერიოდის მიუხედავად, ფეხბურთში დამკვიდრებისთვის ბრძოლა არასოდეს შემიწყვეტია და არც ყურები ჩამომიყრია. ფეხბურთი ცხოვრებასავითაა, ყველაფრისთვის მზად უნდა იყო.

ბურდული მანჩესტერში კვირას უნდა ჩაფრენილიყო, მაგრამ „სიტიდან“ შემოუთვლიათ, რაც უფრო მალე ჩამოხვალ, უკეთესი იქნებაო.

**დავით ერაძე**

*სულ რაღაც ერთი თვეა, ვრონკის „ამიკას“ ქართველი ნახევარმცველი მამია ჯიქია პლოცკის „ვისლაში“ გადავიდა. ჩვენებური ახალ კლუბთან ერთად ავსტრიაში ემზადება საახალსეზონოდ და ორ ამხანაგურ მატჩშიც ითამაშა.*

*ჯიქიასთან შეხმიანება იმანაც გადაგვაწყვეტინა, რომ ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე გაჭირვებით გასულ „ვიტ ჯორჯიას“ კრაკოვის „ვისლასთან“ მოუწევს ჭიდილი. ჰოდა, პოლონეთის ჩემპიონს ჯიქიაზე უკეთ ვინ „გაგვიშიფრავდა“, თუმცა მანამდე მამიას თავისი ამბებიც გამოვკითხეთ...*

# ჰოო... ვისლა ძალიან მაგარი გუნდია




— როგორ მიდის შენი საქმეები, ახალ გუნდში როგორ მიგიღეს?

— ყველაფერი კარგადაა, არაფერს ვუჩივი. დახვედრაზეც ცუდი არ მეთქმის, პლოცკში ისედაც ბევრი ნაცნობი მყავდა. ასე რომ, მთლად უცხო გარემოში არ მოვხვედრილვარ.

— ტრავმა ახლახან მოგირჩა და თავი ხომ არ შეუხსენებია?

— არა, ტკივილებს საერთოდ არ ვგრძნობ. შეკრების წინ სამედიცინო შემოწმებაც გავიარე და აბსოლუტურად ჯანმრთელი ვარ.

— ავსტრიულ შეკრებაზე ამხანაგურ მატჩებსაც ითამაშებდი...

— პირველად კვიპროსულ „აპოელთან“ 0:3 დავმარცხდით, მერე კი გერმანულ „კოტბუსს“ 4:0 მოვუგეთ. ხვალ ბულგარულ „ლევსკის“ ვეთამაშებით და შეკრებასაც ვამთავრებთ.

— „ვიტ ჯორჯიას“ საჩემპიონთალიგო მეტოქე „ვისლაზე“ რას იტყვი?

— ძალიან მაგარი გუნდია. ბოლო წლებია, პოლონეთში ჩემპიონობას არავის უთმობს. საერთოდ კი, პოლონელებს ამ გუნდზე მზე და მთვარე ამოსდით. ახლა ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე მოხვედრა აქვთ დაგეგმილი და...

— ერთი სიტყვით, წყვილში აშკარა ფავორიტია...

— როგორ გითხრათ, არ მინდა ასე იყოს, მაგრამ...

— მაგრამ?

— შეგვიძლია, „ვისლა“ ოთხმოცი პროცენტით შემდეგ ეტაპზე გასულად ჩავთვალოთ, თუმცა... ბრძოლას წინ რა უდგას?!

— „ვისლას“ წინააღმდეგ შენც არაერთხელ გითამაშია და რა არის ამ გუნდის ყველაზე ძლიერი თვისება?

— შეტევა. ძალიან ძლიერი ნახევარმცველები და თავდამსხმელები ჰყავს. დაცვა შედარებით სუსტია, მაგრამ ეს იმდენად შედარებითია, რომ ყურადღების გამახვილება არც ღირს. ისე კი, არ მახსოვს, „ვისლას“ როდესმე დაცვითი ფეხბურთი ეთამაშოს, სულ შეტევაზე ფიქრობენ.

— გულშემატკივრები როგორი ჰყავთ?

— სხვათა შორის, „გიჟები“ არ არიან. უფრო მშვიდი ქომაგები ჰყავთ. მაგ მხრივ კრაკოვში თამაში, მგონი, ყველაზე იოლია პოლონეთში.

**ბაჩა ზალამბერიძე**

# რანი არიან უცხოთა თვალში ქართული კლუბები?

# თახსირები

*გუშინწინ საღამოს „ვიტ ჯორჯია“ ფარერებზე ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპის საპასუხო მატჩისთვის რომ ემზადებოდა, მოსკოვიდან რუსმა მეგობარმა კოლეგამ დამირეკა. ჩემდა გასაკვირად, „ჰაფნარ“ — „ვიტ ჯორჯიას“ თამაში აინტერესებდა...*

— იძულებული ვარ, თბილისში დავრეკო და ქართველების მატჩის ანგარიში გკითხო. აქაურ ტოტალიზატორებში ერთი ამბავია ატეხილი, მასპინძლების მოგებაზე ძალიან დაბალი კოეფიციენტია და ნაცნობებმა ამიკლეს, ეგებ გაიგო, „ვიტ ჯორჯია“ თამაშის დათმობას ხომ არ აპირებსო. ამიტომაც გირეკავ, შეიძლება, „ვიტ ჯორჯიამ“ თამაში განგებ წააგოს? — მკითხა მეგობარმა.

რაც არ ვიცოდი, ბუნებრივია, ვერ ვეტყოდი, თუმც გულმა რეჩხი მაშინვე მიყო, ემანდ, ეს ამბავი სიმართლესთან ახლოს არ იყოს, თორემ რატომ დარეკავდა კაცი მოსკოვიდან-მეთქი.



მოსკოვიდან მეორედ მაშინ დაირეკა, ფარერებზე მეორე ტაიმი რომ იწყებოდა.

— რა არის ახალი?

მხოლოდ ანგარიში ვუთხარი — 0:0.

— „ჰაფნარ“ — „ვიტ ჯორჯიას“ მატჩის შედეგის გამოცნობაზე მოსკოვში ფსონებს აღარ იღებენ — იყო პასუხი.

ვერ დავიწყებ იმაზე ლაპარაკს, რომ „ვიტ ჯორჯიამ“ მატჩი შეგნებულად დათმო, ამის არც სურვილი მაქვს და არც რაიმე საბუთი, ეს ვამტკიცო. გუშინწინდელი ფაქტის მოყვანა კი იმად დამჭირდა, წარმოდგენა შეგექმნათ, თუ რას ფიქრობენ ევროთასებზე მოთამაშე ქართულ გუნდებზე უცხოეთში, ამ შემთხვევაში მოსკოვში.

ახლა კი ერთი-ორი მწარე სიტყვისა და იმ გულისნადების თქმა და გამხელა მსურს, რაც ფარერებისა და საქართველოს ჩემპიონების შეხვედრის შედეგმა მაიძულა.

ქართული ფეხბურთის ალბათ ყველა ქომაგი დამეთანხმება, უსახელო, დურგალ-ზეინკალ-მეთევზეთა „ჰაფნარისგან“ მორთმეული 3:0 ჩვენი ჩემპიონის, ერთი სიტყვით ვთქვათ, უთავმოყვარეობაზე მეტყველებს, მეტყველებს ვეტერინართა კლუბის „გამოუსვლელობაზე“, უჯიგრობაზე- და კიდევ, სირცხვილია, რომ საქართველოს ისეთი ჩემპიონი ჰყავს, რომელსაც შეუძლია მწყემსებთან წაგება.

„ჰაფნართან“ 0:3 ჯგებ და მაინც შემდეგ ეტაპზე გადიხარ. რას იზამ, ფეხბურთი ლოგიკური თამაში არ არის. ლოგიკური ის არის, რომ ქართული ფეხბურთის წიაღში ისე ბნელა, ქართველებთან საქმის დაჭერას ყველა ერიდება და რაც სახელი გვაქვს, ზემოთ რომ ვთქვით, იქიდან ჩანს. მოკლედ, კიდევ ერთმა ქართულმა კლუბმა გაიხადა საქმე სალაპარაკოდ და ამ საქმეში გარჩევა არავის აქვს — არც ფეხბურთელებს, არც მწვრთნელს და არც კლუბის ხელმძღვანელობას. მწვრთნელის, მერაბ კოჭლაშვილის გასაგონად კი განსაკუთრებით ეგების იმის თქმა, რომ გონივრული იქნებოდა, 5:0 მოგების მერე გუნდს ფარერებზე მეორე ან შესუსტებული შემადგენლობით ეთამაშა, ბოლო-ბოლო, ფეხბურთელები ტრავმებს გადაურჩებოდნენ და რომც წაეგოთ, სათქმელი იქნებოდა, სათადარიგოებმა ითამაშესო. მაგრამ, ჩანს, კოჭლაშვილმა სათადარიგოები კი არა, უსუსურ კუნძულელებთან ღირსეულად სათამაშოდ ძირითადი შემადგენლობაც ვერ მოამზადა.



ისიც ჩანს, კოჭლაშვილს არც იმის ალალად თქმა შეუძლია, წავაგეთო და მიზეზად ფარერელთა უხეშობა მოჰყავს.

ერთი სიტყვით, საქართველომ და ქართულმა ფეხბურთმა რაც აქამდე სირცხვილი ჭამა, იმას კიდევ ერთი დაემატა...

ვნახოთ, თუ „ვიტ ჯორჯიაში“ რაღაც თავმოყვარეობის მარცვალი კიდევ არის, „ჰაფნარისგან“ თავსლაფს ამ კლუბში რაღაც გაგრძელება უნდა მოჰყვეს.

**კობა ინასარიძე**

**ფინეთი**

ვეიკაუსლიგა. XV ტური

ლაჰტი 2:1 ინტერი

როვანიემი 1:0 ალიანსი

**გერმანია**

ლიგის თასი

შტუტგარტი 3:0 ბოხუმი

**ამხანაგური მატჩები**

არმინია 1:1 (პენ.&9) ბეშიქთაში

პარტიზანი 1:0 ფეიენოორდი



ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს ჩემპიონატი — უმაღლესი ლიგა 16 — პირველი ეტაპი — კალენდარი

ჩვენ ვებრძვით სილატაკეს — ასეც შეიძლება ჩამოვაყალიბოთ პროფლიგის ახალი დევიზი. ქართული ფეხბურთისთვის შავ ჭირად ქცეულ უფულობას ბოლო უნდა მოეღოს და, პროფლიგის თავკაცებმა საქმეს ხელი მოჰკიდეს — აქამდე მხოლოდ სალაპარაკო თემას პრინციპულობა მოაყოლეს — სილატაკეს ცოცხი მოუსვეს და... ურნაში „ქობულეთი" და „რუსთავი" აღმოჩნდნენ — პირველი ლიგიდან უმაღლესში ასული, მაგრამ ჯიბეგამოფხეკილი გუნდები.

ჰოდა, ჩვენი ეროვნული ჩემპიონატიც ახალ თარგზე მოიჭრა: ათი გუნდი, ოთხი წრე, 36 თამაში. შეიძლება ვინმემ თქვას, საქართველოს ჩემპიონატში მეტი გუნდი უნდა თამაშობდეს, რათა რეგიონებს ფეხბურთი შევუნარჩუნოთო. კი ბატონო, მაგრამ ამის მთქმელს სრულიად აპოლიტიკურ შეკითხვას დავუსვამთ: რას გირჩევნიათ უცქიროთ, უტრუსმაისურო და მშიერი ვითომ გუნდების თამაშს თუ წელგამართულთა მაღალი მიზნებისთვის ჯახს? და რა ფეხბურთის ბრალია ის, რომ ზუგდიდში, რუსთავში, ქობულეთში, თელავში ხალხი არ გამოჩნდა, გუნდის შენახვას რომ ითავებდა?!

ერთი სიტყვით, ახალი ფორმატი უკვე გვაქვს და აგერ, ახალ კალენდარსაც გთავაზობთ. ჩემპიონატი, როგორც პროფლიგის გუშინწინდელ კონფერენციაზე ითქვა, 31 ივლისს დაიწყება.

### პირველი წრე

**პირველი ტური**
31 ივლისი, შაბათი
ტორპედო – ლოკომოტივი
კოლხეთი – ვიტ ჯორჯია
1 აგვისტო, კვირა
დილა – ბათუმი
2 აგვისტო, ორშაბათი
ზესტაფონი – თბილისი
დინამო – სიონი

**მეორე ტური**
6 აგვისტო, პარასკევი
თბილისი – კოლხეთი
7 აგვისტო, შაბათი
ლოკომოტივი – ბათუმი
სიონი – დილა
ტორპედო – ზესტაფონი
8 აგვისტო, კვირა
ვიტ ჯორჯია – დინამო

**მესამე ტური**
14 აგვისტო, შაბათი
ზესტაფონი – ლოკომოტივი
კოლხეთი – ტორპედო
ბათუმი – სიონი
15 აგვისტო, კვირა
დინამო – თბილისი
დილა – ვიტ ჯორჯია

**მეოთხე ტური**
21 აგვისტო, შაბათი
ვიტ ჯორჯია – ბათუმი
ლოკომოტივი – სიონი
ზესტაფონი – კოლხეთი
ტორპედო – დინამო
22 აგვისტო, კვირა
თბილისი – დილა

**მეხუთე ტური**
29 აგვისტო, კვირა
კოლხეთი – ლოკომოტივი
დილა – ტორპედო
დინამო – ზესტაფონი
ბათუმი – თბილისი
სიონი – ვიტ ჯორჯია

**მეექვსე ტური**
11 სექტემბერი, შაბათი
თბილისი – სიონი
ტორპედო – ბათუმი
ზესტაფონი – დილა
კოლხეთი – დინამო
12 სექტემბერი, კვირა
ლოკომოტივი – ვიტ ჯორჯია

**მეშვიდე ტური**
18 სექტემბერი, შაბათი
დილა – კოლხეთი
ბათუმი – ზესტაფონი
სიონი – ტორპედო
ვიტ ჯორჯია – თბილისი
19 სექტემბერი, კვირა
დინამო – ლოკომოტივი

**მერვე ტური**
25 სექტემბერი, შაბათი
ლოკომოტივი – თბილისი
კოლხეთი – ბათუმი
ზესტაფონი – სიონი
დინამო – დილა
ტორპედო – ვიტ ჯორჯია

**მეცხრე ტური**
2 ოქტომბერი, შაბათი
სიონი – კოლხეთი
ვიტ ჯორჯია – ზესტაფონი
დილა – ლოკომოტივი
ბათუმი – დინამო
თბილისი – ტორპედო

### მეორე წრე

**მეათე ტური**
6 ოქტომბერი, ოთხშაბათი
ვიტ ჯორჯია – კოლხეთი
7 ოქტომბერი, ხუთშაბათი
ბათუმი – დილა
თბილისი – ზესტაფონი
სიონი – დინამო
ლოკომოტივი – ტორპედო

**მეთერთმეტე ტური**
16 ოქტომბერი, შაბათი
კოლხეთი – თბილისი
ბათუმი – ლოკომოტივი
დილა – სიონი
ზესტაფონი – ტორპედო
დინამო – ვიტ ჯორჯია

**მეთორმეტე ტური**
24 ოქტომბერი, კვირა
ლოკომოტივი – ზესტაფონი
ტორპედო – კოლხეთი
სიონი – ბათუმი
თბილისი – დინამო
25 ოქტომბერი, ორშაბათი
ვიტ ჯორჯია – დილა

**მეცამეტე ტური**
30 ოქტომბერი, შაბათი
ბათუმი – ვიტ ჯორჯია
დილა – თბილისი
დინამო – ტორპედო
სიონი – ლოკომოტივი
კოლხეთი – ზესტაფონი

**მეთოთხმეტე ტური**
7 ნოემბერი, კვირა
ლოკომოტივი – კოლხეთი
ტორპედო – დილა
ზესტაფონი – დინამო
თბილისი – ბათუმი
ვიტ ჯორჯია – სიონი

**მეთხუთმეტე ტური**
11 ნოემბერი, ხუთშაბათი
სიონი – თბილისი
ბათუმი – ტორპედო
დილა – ზესტაფონი
დინამო – კოლხეთი
ვიტ ჯორჯია – ლოკომოტივი

**მეთექვსმეტე ტური**
20 ნოემბერი, შაბათი
კოლხეთი – დილა
ზესტაფონი – ბათუმი
ტორპედო – სიონი
თბილისი – ვიტ ჯორჯია
21 ნოემბერი, კვირა
ლოკომოტივი – დინამო

**მეჩვიდმეტე ტური**
28 ნოემბერი, კვირა
თბილისი – ლოკომოტივი
ბათუმი – კოლხეთი
სიონი – ზესტაფონი
დილა – დინამო
ვიტ ჯორჯია – ტორპედო

**მეთვრამეტე ტური**
5 დეკემბერი, კვირა
ტორპედო – თბილისი
ლოკომოტივი – დილა
დინამო – ბათუმი
კოლხეთი – სიონი
ზესტაფონი – ვიტ ჯორჯია

**თასის 1/16, 1/8 და 1/4 ფინალური დღეები: 25 აგვისტო, 3 სექტემბერი, 28 სექტემბერი, 20 ოქტომბერი, 3 ნოემბერი, 1 დეკემბერი, 9 დეკემბერი**

## ტკივილის მერე

### როსტოვში რატი ბრუნდება

*ერთი კვირაა, რაც რატი ალექსიძე როსტოვში დაბრუნდა და კლუბთან ერთად ვარჯიში განაგრძო. მამის გარდაცვალების შემდეგ მას საკმაოდ დიდი დრო გაუცდა — ოც დღეზე მეტია, ხეირიანად არ უვარჯიშია*



— ჯერ მხოლოდ სამჯერ ვივარჯიშე გუნდთან ერთად — გვითხრა გუშინ რატიმ — სრული დატვირთვით კი დღეს დავიტვირთე. ბალახნინმა მითხრა კიდეც, დუბლშემადგენლობაში ხომ არ ითამაშებდიო, მაგრამ უარი ვუთხარი. ჯერ საამისოდ არც გული მაქვს და, ვატყობ, არც ფორმაში ვარ. თავის შერცხვენას კი, მირჩევნია, ცოტა ხანს კიდევ მოვითმინო.

— როგორც ჩანს, ბალახნინი ცდილობს, გაგამხნევოს და რაც შეიძლება მალე დაგაბრუნოს ძირითადში...

— ეგრეა. გულთბილი კაცია, კარგი ურთიერთობა გვაქვს. რომ ჩამოვედი, დიდხანს მელაპარაკა, ძლიერი უნდა იყო, სირთულეები გადალახო და როგორც შეგიძლია, ითამაშოო. ვიცი, როგორც კი ფორმას აღვიდგენ, ძირითადში თამაშს არ დამამადლის.

— თანაგუნდელები როგორ შეგხვდნენ?

— არც ველოდი, ისე. ყველამ დამირეკა, მოვიდნენ და გამამხნევეს. ზოგმა შემომთავაზა, სადმე წავიდეთ, გულს გადააყოლებო. მოკლედ, ძალიან შინაურული გუნდია და აქაც ისევე ვგრძნობ თავს, როგორც „დინამოში".

— როსტოვში შენი უთამაშებლობით სხვა ფორვარდებმა ისარგებლეს და გოლების გატანა დაიწყეს. კონკურენციის არ გეშინია?

— რომელ კონკურენციაზეა ლაპარაკი, როდესაც თითქმის ერთი თვეა, არ მივარჯიშია და ბალახნინი სულ იმას მეუბნება, თამაშს როდის დაიწყებო. ბედი რომ არ გექნება კაცს...

— შენი აზრით, როდის დაბრუნდები ძირითადში?

— უახლოესი ორი ტური რომ ძირითად გუნდში ვერ ვითამაშებ, ეს ვიცი. ალბათ მერე ნელ-ნელა თითო ტაიმს მათამაშებენ და გუნდს ისევ შევეწყობი. მერე კი, იმედია, საქმე კარგად აეწყობა...

**დავით ერაძე**

## მუჯირი ბულგარეთში მარტო აღარ არის

**ბულგარეთის** ჩემპიონატში ქართველები მომრავლდნენ. სოფიის ცსკა-ში მოთამაშე ამირან მუჯირის გარდა, იქაურ უმაღლეს ლიგას კონსტანტინე დარსანია და ლევან კაპანაძეც მოუსინჯავენ კბილს. ეს ფეხბურთელები ბულგარეთში მენეჯერ ივანე ჯუღელის დახმარებით მოხვდნენ და რამდენიმედღიანი გასინჯვების მერე სასურველი კლუბებიც ნახეს — დარსანიამ ვარნის „ჩერნო მორესთან" გააფორმა კონტრაქტი, კაპანაძემ კი „ბელასიცასთან". კლუბებმა ქართველებს თითოწლიანი ხელშეკრულება დაუდეს.

შეგახსენებთ, რომ დარსანია წინა სეზონში ბოლნისის „სიონში" თამაშობდა. კაპანაძემ კი „რუსთავთან" ერთად მოიპოვა უმაღლესი ლიგის საგზური. როგორც მოგვიანებით გაირკვა, „სიონიც" და „რუსთავიც" უამრავ პრობლემას „შეეჭიდნენ" და ფეხბურთელებმა გაქცლა ამჯობინეს.



ლევან კაპანაძე



კოტე დარსანია

ერთი სიტყვით, ბულგარეთის ჩემპიონატში ახლა სამი ქართველი ითამაშებს, რაც ბოლოს შარშანდელი ჩემპიონატის პირველ წრეშიც მოხდა — არმიელი მუჯირის გარდა, ვლადიმერ კაკაშვილი და ლევან შავგულიძე სწორედ დარსანიას ახლანდელ კლუბ „ჩერნო მორეში" ირიცხებოდნენ.

**ბახა შალამბერიძე**

## ნამდვილი ყველაფერი ძნელია

**უეფას თასზე** ასპარეზობა მოგებით დაიწყეს ქართულმა კლუბებმა, „დინამომ" და „თბილისმა". შემდგომ ეტაპზე გასვლის შემთხვევაში მათი სავარაუდო მეტოქეების ვინაობაც ცნობილია. აქაც გადამწყვეტი მნიშვნელობა კლუბების რეიტინგებს მიენიჭა, ანუ პირველ საკვალიფიკაციო ეატპდაძლეულ შვიდ გუნდს დაემატება რეიტინგით მაღლა მდგომი შვიდი გუნდი, ამ თოთხმეტს კი დაუპირისპირდება თოთხმეტი განთესილი გუნდი (გუნდები ჩამოთვლილია მათი საკლუბო რეიტინგის მიხედვით, ზევიდან ქვევით): „სლავია" (ჩეხეთი), „ლევსკი" (ბულგარეთი), „სერვეტი" (შვეიცარია), „ლეგია" (პოლონეთი), „სტიაუა" (რუმინეთი), „ამიკა" (პოლონეთი), ცსკა (ბულგარეთი), „დნიპრო" (უკრაინა), „სიგმა" (ჩეხეთი), „რაპიდი" (ავსტრია), „ლიტექსი" (ბულგარეთი), „ზენიტი" (რუსეთი), „მეტალურგი" (უკრაინა), „აუსტრია" (ავსტრია).

კენჭისყრა 30 ივლისს უეფას შტაბბინაში, შვეიცარიულ ქალაქ ნიონში გაიმართება. ამ დღეს უეფას თასის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპის გარდა, ჩემპიონთა ლიგის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპის კენჭისყრაც ჩატარდება.

ერთი საინტერესო დეტალიც: უეფას თასის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპის შემდეგ შეწყდება გუნდების ეგრეთ წოდებული რეგიონული პრინციპით დაყოფა. სწორედ მეორე საკვალიფიკაციოს შემდეგ დაიწყება უეფას თასის პირველი რაუნდი, ანუ ის, რასაც უკვე ნამდვილად უეფას თასი ჰქვია.

**დავით ერაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთი თავი დაუწერელი წიგნიდან

# მოტოციკლი და სველი ასფალტი

## მაინც ვითამაშებ ან ნაწილებს გავყიდი

*არჩილ არველაძე 32 წლის გახლავთ და ფეხბურთის თამაში კვლავაც სურს. მის ასაკში უმაღლეს დონეზეც აგორებენ ბურთს, მაგრამ აჩიკოს შემთხვევაში წლებს გადამწყვეტი მნიშვნელობა სულაც არ აქვს — დაახლოებით ორი წელია, ტყუპისცალს ოფიციალური მატჩი არ უთამაშია...*

*როცა შოთა და არჩილ არველაძეებმა მინდორზე ფეხი შედგეს, კამათიც გააჩინეს — რომელი უფრო მაგრად თამაშობს ფეხბურთს? ბევრის აზრი ახლაც ასეთია — აჩი უფრო ნიჭიერია და ის უფრო შორს წავიდოდა...*

*ვინ იცის, როგორ გამართლდებოდა ვარაუდები. აჩის კარიერას ყველაზე მაგრად მისი მარჯვენა მუხლი და ბედისწერა ებრძოდა. ვინ გაიმარჯვა? ნიათიანიები ბოლომდე იბრძვიან და იქნებ საბოლოო გამარჯვებამდე ჯერაც დროა...*

**დავით თავართქილაძე**



პირველი ტრავმა — 1988 წლის მარტი: მოტოციკლიდან გადმოვარდნილს მარჯვენა მუხლის იოგები გამიწყდა. საოპერაციოდ გერმანიაში წამიყვანეს. ყველაფერმა კარგად ჩაიარა, თოთხმეტი თვის შემდეგ უკვე თბილისის „დინამოში" ვთამაშობდი.

„დინამოში" ყოფნისას მუხლს აღარ შევუწუხებივარ, მაგრამ 1993 წელს მე და შოთი „ტრაბზონსფორში" გადავედით და მორიგი ტრავმაც მაშინ დამემართა. ტრაბზონში სულ ათი დღის ჩასულები ვართ და, ერთ-ერთ ვარჯიშზე თანაგუნდელი უკნიდან დამეჯახა — იოგის სანახევროდ გაწყვეტა — ასეთი იყო დიაგნოზი.

თურქებმა იფიქრეს, ამას ჩვენთან ჩამოსვლამდე ნაღდად რაღაც სჭირდა, თორემ ასე ადვილად ვარჯიშზე არ დაშავდებოდაო. თუმც გამოჯანმრთელების შემდეგ პირველივე მატჩში სამი გოლი გავიტანე და ყველაფერი ნორმალურად წარიმართა.

იმ ტრავმისას ოპერაციას გადავრჩი. თურქეთში დათო დათუნაიშვილი გავიცანი, ექიმი, ვინც ორ თვეში მომარჩინა. დათუნაიშვილმა მერე მარატ იზმაილოვსაც უმკურნალა, ბოლოს კი ლადო ბურდული გამოაჯანმრთელა. როცა „კიოლნში" დავშავდი და დიუსელდორფში ვმკურნალობდი, მაშინ გავიცანი იზმაილოვი და დათუნაიშვილთან მისვლა ვურჩიე.

პირველი ტრაბზონული ტრავმის შემდეგ სამი წელი სერიოზული პრობლემა არ შემქნია. 1996 წელს კი კვლავ ვარჯიშზე მიმუხთლა მუხლმა. „ტრაბზონსფორში" ჩემი უახლოესი მეგობარი თულნაი იყო და მან ჩამარტყა მუხლში — კვლავ გამიწყდა იოგი და კვლავ ოპერაცია.

ოპერაციიდან ექვსი თვის და ოცი დღის შემდეგ ისევ გავედი მოედანზე, უეფას თასზე „შალკეს" ვეთამაშეთ. თითქოს ყველაფერი უკან დარჩა, ვთამაშობ, ჩემს საქმეს ვაკეთებ და დადგა დრო, თურქეთიდან წასვლისა.

ჰოლანდიურ „ბრედაში" სამი წელი დავყავი. სერიოზული ტრავმა არ მიმიღია, მაგრამ მთელი ამ სამი წლის განმავლობაში ვოლტარენს ვსვამდი და მუხლზე ყინულებს ვიდებდი — ძველი ტრავმების რეციდივები მოსვენებას არ მაძლევდა.

მიუხედავად ამისა, ბუნდესლიგაში გადასვლაზე უარს ვერ ვიტყოდი. „კიოლნში" სულ სხვა დატვირთვებია, თუმც პირველი კიოლნური მოსამზადებელი ეტაპი უპრობლემოდ გავიარე, სეზონის განმავლობაშიც სერიოზული ტკივილები არ მქონია, მაგრამ მომდევნო ბუნდესლიგის წინ რომ შეკრება იყო, ხრტილი ამტკივდა.

ხრტილის ტკივილი იმან გამოიწვია, რომ მუხლზე მენისკი უკვე ამოჭრილი მქონდა. მენისკი კი მუხლის ბალიშივითაა, მთელ სახსარს იცავს და როცა ის არ გაქვს, მთელი დატვირთვა ხრტილზე მოდის. ჰოდა, ხრტილის ნაწილიც ამომიტყდა და სერიოზული ტკივილებიც დამეწყო. ორი თვე ვიწვალე, მაგრამ არაფერი გამოვიდა — ოპერაცია აუცილებელი იყო.

ხრტილის გადანერგვის ოპერაცია 2002 წლის ნოემბერში გავიკეთე. ოპერაციის შემდეგ ათი კვირა იატაკზე ფეხს ვერ ვდგამდი. თუმც მომდევნო წლის მარტში უკვე ვარჯიში დავიწყე. ძალიან ვჩქარობდი, რადგან „კიოლნთან" კონტრაქტი მეწურებოდა და თამაშის დროულად განახლება ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო. რამდენიმე ამხანაგური მატჩის თამაში მოვახერხე, მაგრამ „კიოლნმა" კონტრაქტი არ გამიგრძელა.

ვერ ვისვენებდი და ბილეფელდის „არმინიას" მივაშურე. მოსამზადებელ შეკრებაზე ძალიან ძლიერად ამტკივდა მუხლი. თამაშს როგორმე შევძლებდი, მაგრამ მოსამზადებლის დატვირთვების ატანა მუხლმა ვერ შესძლო. თბილისში ჩამოვედი, „ლოკომოტივში" ვაპირებდი თამაშს, მაგრამ მუხლი ვერა და ვერ მოვირჩინე.

...ყველაზე ცუდი ტრავმა ალბათ მაინც პირველი იყო — თექვსმეტი წლისას გამიწყდა იოგები, მოწუნწყლული ამინდი იყო და მოტოციკლით მოვცურდი. ბოლო ოპერაციის შემდეგ კი... ეს სიკვდილია, როცა ტუალეტში შენით ვერ მიდიხარ, ხოლო ათი თვე სულ ზურგზე ვიწექი და ისე მეძინა.

ბოლო დროს კარგად ვიყავი, მუხლი ოდნავადაც არ მაწუხებდა, მაგრამ მე, ქინქლაძემ, შელიამ და ცხადაძემ რამდენიმე დღის წინ ფეხბურთი ვითამაშეთ და მუხლი ისევ ამტკივდა.

ბოლომდე მაინც ვერ ვფიქრობ ფეხბურთისთვის თავის დანებებაზე. ასე მგონია, რომ მაინც ვითამაშებ. ძალიან დავიღალე იმით, რომ სულ ვუფრთხილდები მუხლს. თუ ის მომირჩა, ხუთი წელიც რომ იყოს გასული, მაინც ვითამაშებ ფეხბურთს. სად? თუ მაგარი ხარ, ყველგან უნდა ითამაშო. ჩემი კარიერა ამ ფეხმა შეიწირა, თორემ ათჯერ უფრო ძლიერად ვითამაშებდი, ვიდრე ეს მოვახერხე.

როცა ხასიათზე ვარ, სულ ვვარჯიშობ ტრენაჟორზე, ამასაც ხომ თავისი ნერვი და განწყობა უნდა. უვარჯიშებლად არ შემიძლია, განსაკუთრებით დილმის ბაზაზე მიყვარს ვარჯიში, იქ თავისებური აურაა.

ტრავმების დროს ყველაზე უფრო შოთის თამაში მეხმარებოდა. ისე მეგონა, რომ მეც ვთამაშობდი. ახლობლებში შოთას თამაშს ისე არჩევდნენ, თითქოს ორივეს გვეთამაშოს.

...მუხლში ხუთი „ვინტი" მაქვს, რომლებითაც იოგები ძვლებზეა მიმაგრებული და ხუთივე პლატინისაა. მოკლედ, თუ ძალიან გამიჭირდა, შემიძლია, ისინი კარგად გავყიდო.



არჩილ არველაძე საფეხბურთო ქონს ტრენაჟორით ვერ დაიცხრობს

ეროვნული ბიბლიოთეკა

## COPA AMERICA PERU 2004 — კოპა ამერიკა 2004
### პერუ (6-25 ივლისი)

# პენალტებს ასრულებს ბრაზილია
## ხელმძღვანელი კარლოს ალბერტო პარეირა

ბრაზილია ფინალშია — მსოფლიოს ჩემპიონებმა ურუგვაი პენალტებით დაამარცხეს. მათ ხუთივე თერთმეტმეტრიანი შეაგდეს. მეკარე ჟულიო სეზარმა ურუგვაელი ვისენტე სანჩესის დარტყმული მოიგერია, ხოლო ალექსმა გადამწყვეტი გაიტანა.

**ბრაზილია 1:1(პენ.5:3) ურუგვაი**
0:1 სოსა (22), 1:1 ადრიანო (47)
**ბრაზილია:** ჟულიო სეზარი, მაისონი, ლუიზაო, ჟუანი, გუსტავო ნერი, რენატო, კლებერსონი (დიეგო 75), ალექსი, ედუ (ჟულიო ბაპტისტა 75), ადრიანო, ლუის ფაბიანო
**ურუგვაი:** ვიერა, დიოგო, ბიზერა, პ. მონტერო, დ. როდრიგესი, სოსა, კრისტიან როდრიგესი (ვ. სანჩესი 70), ხ. დელგადო, დ. პერესი (პოუსო 81), დარიო სილვა, ბუენო (ფორლანი 62)
მსაჯი: მარკო როდრიგესი (მექსიკა)
15 000 მაყურებელი

პირველ ტაიმში ურუგვაელთა ფორვარდს, დარიო სილვას ორი ნაღდი საგოლე მომენტი ჰქონდა. მეორე წუთზევე შეეძლო ანგარიშის გახსნა, მაგრამ ბურთი ახლოდან ჟულიო სეზარს შეაწყვიტა.

სილვა მალევე უკეთეს ვითარებაში აღმოჩნდა, თუმც ისეთ დროს ჩაფლავდა, რომ თანაგუნდელები გააოგნა — ცარიელი კარის წინ ეულად დარჩენილმა სასწაულებრივ ააცილა.


ბრაზილიელთა მეკარე ჟულიო სეზარმა საფინალო საქმე გააკეთა


ადრიანოს (№7) რომ არ გაეთანაბრებინა, ფინალში ურუგვაი გავიდოდა

სამაგიეროდ, იყოჩაღა მოსკოვის „სპარტაკის" ლეგიონერმა მარსელო სოსამ — მეტსახელად „იხვი". ხავიერ დელგადოს ჩაწოდებულ ბურთს „იხვმა" თავი საგოლედ დაჰკრა და ურუგვაი დააწინაურა.

სოსას და დელგადოს შესვენებამდე თითოჯერ გატანა კიდევ შეეძლოთ, მაგრამ ჟულიო სეზარმა არ დაანება.

ბრაზილიელთაგან ედუს და კლებერსონს გაუცუდდათ მომენტები, მაგრამ მეორე ტაიმში „კოპა ამერიკას" ბომბარდირმა ადრიანომ ლუის ფაბიანოს პასით ახლოდან ააფართხალა ბურთი კარში და ანგარიში გაათანაბრა.

უგურვაელთა მწვრთნელი ხორხე ფოსატი: „ჩვენ ძალიან კარგად ვითამაშეთ. დავიბრუნეთ საკუთარი თავის რწმენა და მეიმედება, რომ მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ჯგუფიდან აუცილებლად გავალთ. ამ ტურნირის დაწყებამდე ჩემი მიზანი გუნდის შეთამაშება იყო და ვფიქრობ, გულშემატკივრებმა ძლიერი ურუგვაი ნახეს".

„პენალტებს შემსრულებლები სჭირდება და ჩვენ ასეთების ნაკლებობას არ განვიცდით. მიხარია, რომ ნაკრები მატჩიდან მატჩამდე უმჯობესდება. ბრაზილიას კვლავ ნიჭიერი თაობა ეზრდება. ეს გუნდი, ფაქტობრივად აქ, „კოპა ამერიკაზე" შეიქმნა და ფინალშიც გავიდა." — კმაყოფილი იყო ბრაზილიელთა მწვრთნელი კარლოს ალბერტო პარეირა.

**ვაჟა ხუციშვილი**

**ფინალი. 25 ივლისი. ლიმა**
**არგენტინა — ბრაზილია**

# გარდაიცვალე რეალის ბაზაზე
## რონალდომ საკუთარი ნეკროლოგი შეუკვეთა



ბრაზილიელი რონალდო „რეალის" ახალ მწვრთნელს, ხოსე ანტონიო კამაჩოს გადამეტებულ სიმკაცრისთვის უჩივის. სულ ახლახან იყო, ესპანურ პრესაში კიჭას უცნაურ სახეცვლილებაზე რომ ალაპარაკდნენ — გაზეთები ერთხმად აღნიშნავდნენ, რონალდო მონტეკასტილოს საწვრთნელ ბანაკში არნახული დატვირთვით ვარჯიშობს, მთელ დროს მოედანზე ატარებს, თავს არ ზოგავსო... და აი, აღმოჩნდა, რონიმ თავიდან აღებულ ტემპს ველარ გაუძლო და კატალონიურ „ელ მუნდო დეპორტივოსთან" საუბრისას კამაჩოს მკაცრი მოთხოვნები გააკრიტიკა.

ბრაზილიელმა საკუთარი ხვაშიადის გასამხელად იუმორი მოიშველია... „მესროლეთ ერთი ტყვია და ბარემ მომკალით, აქ საშინლად მაწამებენ" — მთელი ხმით უყვიროდა რონალდო შორიახლო მდგომ კორესპონდენტებს მაშინ, როდესაც მედიის დასანახად მისი თანაგუნდელები გულიანი ხარხარით ცდილობდნენ რონისთვის ინკვიზიციური „ილეთები" ჩაეტარებინათ.

მათგან თავდახსნილმა ფეხბურთელმა კი „ელ მუნდო დეპორტივოს" უთხრა: „წინასწარ ვერ გეტყვით, მომავალ სეზონში გოლებს გავიტან თუ არა. ამისთვის მთავარია, ხოსე ანტონიო კამაჩოს ვარჯიშის მეთოდებს გადავურჩე".

ცხადია, ბრაზილიელს სურს, მომავალ პრიმერაში გულშემატკივარი კარგი თამაშითა და ბევრი გოლით გაახაროს, „დაუნდობელ სერჟანტად" წოდებული კამაჩოს ხელმძღვანელობით საქმეს ბეჯითადაც მოჰკიდა ხელი, მაგრამ ახლა ნებისყოფა ღალატობს და კიჭას მეგოლეობასაც საფრთხე ემუქრება. „აქედანვე შეგიძლიათ გამასვენოთ, ჩათვალეთ, რომ მონტეკასტილიოში „რეალის" ვარჯიშისას გარდავიცვალე" — „ელ მუნდო დეპორტივოს" სთხოვა რონიმ საჭირისუფლო სამსახური...

**ლადო ხომერიკი**

## ჩემპიონთა ლიგა 2004-2005
### CHAMPIONS LEAGUE | საკვალიფიკაციო ეტაპი. საპასუხო მატჩები

*ნეფთჩი* (*აზერბაიჯანი*) 1:0 შიროკი ბრიაგი (ბოსნია) (1:2)
1:0 ე. გულიევი (80)
*ტირანა* (*ალბანეთი*) 0:1 გომელი (ბელარუსი) (2:0)
0:1 ბლიზნიუკი (38)
*კაუნასი* (*ლიტვა*) 4:1 სლიმა (მალტა) (2:0)
1:0 ბედგაუდასი (28), 2:0 სანაჟევასი (44), 3:0 მიკოლიუნასი (63), 3:1 მიფსუდი (74), 4:1 ზალიუკასი (89)
ჟენესი (ლუქსემბურგი) 1:0 *შერიფი* (*მოლდოვა*) (0:2)
1:0 კარდონი (61)
*ჰიკ* (*ფინეთი*) 1:0 ლინფილდი (ჩრდ. ირლანდია) (1:0)
1:0 კოტილა (27)
*პიუნიკი* (*სომხეთი*) 1:1 პობედა (მაკედონია) (3:1)
0:1 დიმიტროვსკი (19), 1:1 პეტროსიანი (75)
გაძევება: მანევსკი (89, პობედა)
რილი (უელსი) 1:3 *სკონტო* (*ლატვია*) (0:4)
0:1 დედურა (45), 1:1 გ. პაუელი (50), 1:2, 1:3 მიხოლაპსი (80, 88)
*ნოვა გორიცა* (*სლოვენია*) 3:1 ფლორა (ესტონეთი) (4:2)
1:0 კოკოტი (17პ), 2:0, 3:0 შტურმი (51, 52), 3:1 ზაპოვაიკო (69)
*შელბურნი* (*ირლანდია*) 0:0 რეიკიავიკი (ისლანდია) (2:2)

### მეორე საკვალიფიკაციო ეტაპი

ვიტ ჯორჯია (საქართველო) — ვისლა (პოლონეთი)
პიუნიკი (სომხეთი) — შახტარი (უკრაინა)
აპოელი (კვიპროსი) — სპარტა (ჩეხეთი)
რუსენბორგი (ნორვეგია) — შერიფი (მოლდოვა)
იანგ ბოისი (შვეიცარია) — ცრვენა ზვეზდა (სერბეთი)
ნოვა გორიცა (სლოვენია) — კოპენჰაგენი (დანია)
ნეფთჩი (აზერბაიჯანი) — ცსკა (რუსეთი)
ჟილინა (სლოვაკეთი) — დინამო (რუმინეთი)
ჰიკ (ფინეთი) — მაკაბი (თელ ავივი, ისრაელი)
სკონტო (ლატვია) — ტრაბზონსპორი (თურქეთი)
ბრიუგე (ბელგია) — ლოკომოტივი (ბულგარეთი)
ტირანა (ალბანეთი) — ფერენცვაროში (უნგრეთი)
ჰაიდუკი (ხორვატია) — შელბურნი (ირლანდია)
იურგორდენი (შვედეთი) — კაუნასი (ლიტვა)

***პირველი მატჩები — 28 ივლისი, საპასუხოები — 4 აგვისტო***

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ლიპი შემოვლაზეა

## სანაკრებო პროპაგანდა მილანში დაიწყო

**იტალიის** ნაკრების ახალმა მწვრთნელმა მარჩელო ლიპიმ განაცხადა, რომ მოახლოებულ სეზონში სკუდეტოს მთავარი კანდიდატი „მილანია".

„სერია A-ში უძლიერესი გუნდი „მილანია" — თქვა ახლო წარსულში „იუვენტუსის" თავკაცმა — ამ ზაფხულს მილანელები კიდევ უფრო გაძლიერდნენ და ისედაც ხომ ჩემპიონები არიან".

ეს ლიპიმ ოთხშაბათს განაცხადა, როდესაც იტალიური კლუბების შემოვლა ჩემპიონით დაიწყო.

„გარდა სკუდეტოს მფლობელისადმი პატივისცემისა, ის, რომ შემოვლა და დათვალიერება სწორედ „მილანიდან" დავიწყე, უბრალოდ, ჩემი ნაბიჯის სისწორეზე მიგვანიშნებს. უპირველესად სწორედ აქ უნდა ჩამოვსულიყავი".

როგორც მიხვდით, „სკუადრა აძურას" თავკაცი კლუბების ვარჯიშებს ესწრება და ფეხბურთელებს აკვირდება. შეგახსენებთ, რომ ლიპი „აძურის" შეფად მას მერე დანიშნეს, რაც ჯოვანი ტრაპატონიმ, საყოველთაო აზრით, ევრო 2004 ჩააგდო.

„ჩვენ ჯერ კიდევ საწყის საორგანიზაციო სტადიაზე ვართ, მაგრამ დიდი იმედი მაქვს, რომ სტარტი კარგი გვექნება — განაგრძო მილანელის საწვრთნელ ცენტრში ჩასულმა ტაქტიკოსმა — ბოლოხანს ეროვნული გუნდი კარგი შედეგებით ვეღარ დაიკვეხნის და სწორედ ამიტომ გვმართებს ახალი ენთუზიაზმის გამონახვა.

ამ შემოვლა-დათვალიერების დროს მე შევხვდები კლუბების მწვრთნელებს და ფეხბურთელებს. იმედი მაქვს, ჩვენი შეხვედრები ნაკრების საქმეს წაადგება და ხალხი, რომელთაც დაველაპარაკები, „სკუადრა ამურასადმი" ცოცხალ ინტერესს გამოიჩენს".

**პაპუნა ქედია**

# მარესკას იმჟი მიართვეს



**„იუვენტუსში"** ფეხმოუკიდებელი ნახევარმცველის, ენცო მარესკას აგენტი ამბობს, რომ ფეხბურთელი კვლავაღორძინებულმა „ფიორენტინამ" დააინტერესა.

მარესკას და „ბებერ ქალბატონს" კონტრაქტის თანახმად, კიდევ ერთი წელიწადი აკავშირებთ, მაგრამ როგორც ამბობენ, ისინი ერთმანეთს ხელშეკრულებას აღარ გაუგრძელებენ.

„მარესკას შეძენის სურვილი „იებმა" გამოთქვეს, ჩვენ კი იმ ვარიანტის გამოთვლა გვინდა, რომელიც მომავალშიც გამოგვადგება, ამიტომ ამწუთას გადაჭრით ვერაფერს მოგახსენებთ" — განაცხადა „იუვეს" გენერალურმა დირექტორმა ლუჩანო მოჯიმ.

დღეს მარესკასთან დაკავშირებით ისიც კი არ არის ცნობილი, დასჭირდება თუ არა მისი ნიჭი და უნარი „ბებერი ქალბატონის" ახალ მწვრთნელ ფაბიო კაპელოს.

დასადგენია ისიც, თუ რა ბედი ეწევა „ლაციოს" მცველ მასიმო ოდოს. მოგეხსენებათ, იგი „იუვენტუსს" სჭირდება, მაგრამ რომაულ კლუბში ბოლო წუთამდე წყალი მღვრიე იყო.

„რომაელებმა პრეზიდენტი სულ ახლახან შეცვალეს და ჯერ მწვრთნელს ეძებენ — დასძინა მოჯიმ — ასე რომ, „იუვენტუსი" ახლა განსაკუთრებული ყურადღებით შეისწავლის მდგომარეობას „ლაციოში".

**პაპუნა ქედია**

# დი სხვაიო?

## მოჯისგან სიურპრიზი ვის გაუკვირდება

**„იუვენტუსის"** ახალი მწვრთნელი, ფაბიო კაპელო კლუბს „ვალენსიაში" გაყიდული თავდამსხმელის, მარკო დი ვაიოს შემცვლელის ყიდვას სთხოვს.

„დი ვაიოს კარგი წინადადება უთხრეს, რომელიც აწონ-დაწონა და დათანხმდა — განმარტა ტაქტიკოსმა — „ვალენსია" ხომ ბრწყინვალე კლუბია, მაგრამ ახლა მე მჭირდება ვინმე, მისი შემცვლელი".

ეს სიტყვები კაპელომ ჟურნალისტებს „ჯენოასთან" ამხანაგური თამაშის შემდეგ პრესკონფერენციაზე უთხრა — ტურინელებმა ლიგით დაბალ გენუელებს 3:1 მოუგეს.

„ჩვენი თამაში პირველ ტაიმში ნამდვილად მომეწონა — დასძინა მწვრთნელმა — ჩვენ პროგრესი გვაქვს და აშკარაა ყველაფრის მოგების დიდი სურვილი.

ვინაიდან რამდენიმე ფეხბურთელს ფიზიკური პრობლემები აქვთ, სასტარტო შემადგენლობა გარკვეულად შევცვალე".

„იუვენტუსისა" და „ჯენოას" შეხვედრის პირველი ტაიმი 2:0 დასრულდა. გოლები ოლივიე კაპომ და საჯარიმოთა ოსტატმა ფაბრიციო მიკოლიმ გაიტანეს. მეორე ტაიმში ტურინელთა მესამე გოლი მატეო ბრაგიმ გაიტანა — მასზე ამბობდნენ, რომ „ბრეშაში" მიდისო — მაგრამ გენუელებმა მშრალად მაინც არ წააგეს და ტოსტომ შეხვედრის დამთავრებამდე ათი წუთით ადრე ანგარიში „დაასველა".

საინტერესოა, რომ მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე ჟურნალისტები „რომადან" ბრაზილიელი ნახევარმცველის, ემერსონის გადაყვანით დაინტერესდნენ. მოგეხსენებათ, ეს დაუსრულებელი ისტორიაა, რომლის ბოლოც ჯერჯერობით არ ჩანს. კითხვაზე პასუხი სატრანსფერო საქმეთა უფროსმა ლუჩანო მოჯიმ გასცა:



ლუჩანო მოჯი

„ჩვენ შეგვიძლია ჩემპიონთა ლიგის შესარჩევი ეტაპის დასრულებამდე დაველოდოთ, მაგრამ სიურპრიზებსაც ელოდეთ".

**პაპუნა ქედია**

# დაპიდოება ოთხი წლით



**ფრანგმა** თავდამსხმელმა დავიდ ტრეზეგემ „იუვენტუსთან" ახალ, ოთხწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი.

26 წლის ფორვარდი, რომელსაც ძველი კონტრაქტის ვადის ამოწურვამდე ერთი წელიწადიღა ჰქონდა დარჩენილი, გასული სეზონის მიწურულს ტურინელებთან უბრად იყო და „ბარსელონაში" მიდიოდა კიდეც — მისი და კლუბის დავის საგანი ხელფასი გახლდათ.

„ფეხბურთელის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია" — წერია დღევანდელ „გაძეტა დელო სპორტში" კლუბის გენერალური დირექტორის, ლუჩანო მოჯის ნათქვამი.

ტრეზეგე, რომლისთვის ხელფასის მომატება „იუვენტუსის" ახალი მწვრთნელის, ფაბიო კაპელოს დამსახურებაა, ტურინში 2000 წელს „მონაკოდან" გადავიდა, ხოლო 2002 წელს 24 გოლით სერია A-ს საუკეთესო ბომბარდირი გახდა.

„ბედნიერი ვარ, ყველაფერი რომ მოგვარდა და ტურინში ვრჩები" — თქვა ტრეზეგემ.

**პაპუნა ქედია**

# ეს რა თქვა ჯილარდინომ?!

## ყველასთან ბოდიში, მაგრამ პარმაში ვრჩები

**საყოველთაო** ქება-დიდების საგანმა, ახალგაზრდა იტალიელმა თავდამსხმელმა ალბერტო ჯილარდინომ მოულოდნელად განაცხადა, რომ „პარმასთან" კონტრაქტის გახანგრძლივებას აპირებს. არადა, მოგეხსენებათ, მის სახელს ვის აღარ უკავშირებდნენ, „იუვენტუსს", „რომას", „რეალს"... შეგახსენებთ, „პარმას" ფინანსური კრიზისი აქვს და თავის გადარჩენას ფეხბურთელების გაყიდვით მონაგები თანხით ცდილობს.

„მე კონტრაქტის განახლების წინაშე ვდგავარ — თქვა თავდამსხმელმა, რომელსაც ძველი კონტრაქტის თანახმად, 2006 წლამდე მართებს „სტადიო ტარდინიზე" დარჩენა — უახლოეს დღეებში დადასტურებას ველი და ამის მიუხედავად, ძალიან მშვიდად ვარ.

აქ „პარმაში" ახალგაზრდა გუნდი გვყავს. არის რამდენიმე ფასეული, საინტერესო ფეხბურთელიც და რაც ყველაზე მთავარია, არის დიდი ენთუზიაზმი, ერთად ყოფნისა და წარმატებების სურვილი".



აღსანიშნავია, რომ ახლა, როდესაც „იუვენტუსმა" მარკო დი ვაიო „ვალენსიაში" გაყიდა, ცნობა ჯილარდინოს „პარმაში" დარჩენის შესახებ განსაკუთრებულ ყურადღებას იძენს. არ არის გამორიცხული, რომ დი ვაიო „იუვემ" სწორედ ჯილარდინოს შეძენის ეშხითა და სურვილით გაასხვისა.

ამბობენ, რომ თუ ჯილარდინო „პარმასთან" ახალ ხელშეკრულებას გააფორმებს, მისი წლიური გასამრჯელო 500 ათასი ევროთი გაიზრდება.

**პაპუნა ქედია**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ორს პლუს დირექტორობაო

## რავანელის პერუჯას ხსენებაც აუკრძალეს

**ვეტერანი** თავდამსხმელის, ფაბრიციო რავანელის და მისი მშობლიური „რაიონული ცენტრის" გუნდის, „პერუჯას" ხანმოკლე ურთიერთობა დასრულდა — კონტრაქტის ვადა ამოწურულია. თითქოს ფეხბურთელი მზად იყო კიდევ ერთი წლით გაეხანგრძლივებინა თავისი პერუჯელობა, მაგრამ ყველაფერი მოულოდნელად დასრულდა.

„ის ჩვენს მაისურას აღარასოდეს ჩაიცვამს, არც უფასოდ და არც იმ შემთხვევაში, აქეთ რომ გადაგვიხადოს ფული — განრისხდა კლუბის გენერალური დირექტორი ალესანდრო გაუჩი — როდესაც ახალი კონტრაქტის პირობები შევათანხმეთ, ის წავიდა, მაინც დავფიქრდებიო და შემდეგ ახალი მოთხოვნებით დაბრუნდა. და იცით რა მოითხოვა? განა მხოლოდ ერთწლიანი ხელშეკრულება ფეხბურთელის რანგში, არამედ ორწლიანი გარიგება და ამის შემდეგ დირექტორობა. ამაზე მხოლოდ ზეპირი და ხმამაღალი პასუხის გაცემა შემეძლო".

ალესანდრო გაუჩი, კლუბის მეპატრონის, ლუჩანო გაუჩის ვაჟი იმასაც არ მალავს, რომ რავანელი „პერუჯაში" დანიშნული ხელფასითაც უკმაყოფილი იყო:

„ჩვენ მას წელიწადში გასამჯელოდ 325 ათასი ევრო და ზედ 125 ათასი პრემიად დავუთქვით, პრემიას იმ შემთხვევაში მივცემდით, თუ გუნდი სერია A-ში დაბრუნდებოდა.

ჩვენ კარგად ვიცით, თუ რა დახმარებაც გაგვიწია გასულ სეზონში, მაგრამ როდესაც ფეხბურთელი დაგცინის, ჯობს სხვა კლუბი მოძებნოს, თუნდაც ის ფაბრიციო რავანელი იყოს".

**პაპუნა ძიძია**



# ძოლა დაისვენებს




ჯანფრანკო ძოლა „კალიარის" მაისურას აღარ მოირგებს

ჯანფრანკო ძოლამ „კალიარისთან" კონტრაქტი ველარ გააგრძელა და ამით მისი კარიერა შესაძლოა დასრულდეს კიდეც.

შეგახსენებთ, ძოლა 38 წლისაა. ამასწინათ მან განაცხადა, სარდინიაზე სათამაშოდ სიამოვნებით დავრჩებოდიო, მაგრამ ბოლოს, რაც ამ ამბავთან დაკავშირებით ითქვა ის არის, რომ ძოლას აგენტი „კალიარისთან" კონტრაქტის განახლებას გამორიცხავს.

„ურთიერთობების განსაახლებლად პირობები არ არის სათანადო — თქვა აგენტმა ფლავიო მარუკომ — გინდათ იცოდეთ, რას გააკეთებს ძოლა უახლოეს პერიოდში? დაისვენებს".

მარუკო კლუბის მოხელეებს ორშაბათ საღამოს შეხვდა, ხოლო ოთხშაბათს ძალიან ხანგრძლივი სატელეფონო საუბარიც ჰქონდათ, მაგრამ ამ მოწადინებას შედეგი არ მოჰყოლია. ამბობენ, რომ „კალიარი" ძოლას 900 ათას ევროიან ერთწლიან კონტრაქტს სთავაზობდა, მაგრამ ეს წინადადება ფეხბურთელმა უარყო.

**პაპუნა ძიძია**

*შესაძლოა, ფილიპო ინძაგიმ მომავალი სეზონის დასაწყისი გამოტოვოს. მიზეზი — კოჭის დაუამებელი ტკივილი*

# პიპოს კოჭი არ ცხრება

გუშინდელი იტალიური პრესა წერს, რომ „მილანის" ფორვარდს, არ არის გამორიცხული, ახალი ოპერაცია დასჭირდეს. სავარაუდოდ, ინძაგი ამსტერდამში გაფრინდება და იქაური ექიმების დასკვნას დაელოდება. თუ კიდევ დასჭირდა საოპერაციო მაგიდაზე დაწოლა, მაშინ ფაქტია, რომ სეზონის დასაწყისის გამოტოვება მოუხდება.

შეგახსენებთ, რომ ცნობილ ფორვარდს შარშანდელი ნოემბრის შემდეგ აწუხებს კოჭის ტკივილი. მას შემდეგ, რაც მკურნალობამ შედეგი არ მისცა, 28 აპრილს პირველი ოპერაცია გაიკეთა. სწორედ ამ ტრავმის მკურნალობის და ოპერაციის ბრალი იყო ის, რომ ფილიპო ინძაგიმ ევრო 2004 გამოტოვა.

**პაპუნა ძიძია**



## ფინეთი

ვეიკაუსლიგა. XV ტური

ტამპერე 1:3 ჰაკა
ჰაამენლინა 1:2 მიუპა
იარო 3:0 ტპ-47

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰაკა | 16 | 10 | 4 | 2 | 30:9 | 34 |
| ინტერი | 13 | 8 | 2 | 3 | 30:18 | 26 |
| ტურკუ | 15 | 8 | 2 | 5 | 25:20 | 26 |
| ტამპერე | 13 | 7 | 3 | 3 | 18:10 | 24 |
| ალიანსი | 13 | 7 | 3 | 3 | 18:14 | 24 |
| ჰიკ | 15 | 5 | 8 | 2 | 23:15 | 23 |
| კტპ | 15 | 6 | 5 | 4 | 21:17 | 23 |
| ტპ 47 | 15 | 6 | 3 | 6 | 22:20 | 21 |
| ლაჰტი | 15 | 3 | 8 | 4 | 17:21 | 17 |
| ჯაზი | 14 | 4 | 4 | 6 | 22:24 | 16 |
| მიუპა | 13 | 4 | 4 | 5 | 13:18 | 16 |
| იარო | 15 | 3 | 1 | 11 | 15:32 | 10 |
| როვანიემი | 15 | 2 | 3 | 10 | 14:33 | 9 |
| ჰამენლინა | 15 | 1 | 4 | 10 | 16:33 | 7 |

## შვედეთი

ალსვენსკა. XII ტური

მალმიო 2:1 ჰალმსტადი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მალმიო | 13 | 7 | 5 | 1 | 20:6 | 26 |
| ჰამარბი | 12 | 8 | 2 | 2 | 15:7 | 26 |
| ჰალმსტადი | 12 | 7 | 3 | 2 | 27:15 | 24 |
| კალმარი | 12 | 5 | 5 | 2 | 16:11 | 20 |
| გიოტებორგი | 12 | 5 | 3 | 4 | 12:9 | 18 |
| სუნდსვალი | 12 | 3 | 6 | 3 | 13:13 | 15 |
| აიკ | 12 | 3 | 4 | 5 | 9:12 | 13 |
| იორგრიტე | 13 | 2 | 7 | 4 | 13:17 | 13 |
| იურგორდენი | 12 | 3 | 4 | 5 | 14:20 | 13 |
| ელფსბორგი | 12 | 3 | 4 | 5 | 8:15 | 13 |
| იორებრო | 12 | 3 | 4 | 5 | 15:24 | 13 |
| ჰელსინგბორგი | 12 | 2 | 5 | 5 | 20:18 | 11 |
| ლანდსკრონა | 12 | 2 | 5 | 5 | 12:16 | 11 |
| ტრელებორგი | 12 | 2 | 3 | 7 | 8:19 | 9 |

## ავსტრია

მაქსბუნდესლიგა
II ტური

რაპიდი 4:1 ტიროლი
ადმირა 3:0 ბრეგენცი
გრაცერი 1:0 ზალცბურგი
მატერსბურგი 0:0 აუსტრია

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რაპიდი | 2 | 2 | 0 | 0 | 9:2 | 6 |
| პაშინგი | 2 | 1 | 1 | 0 | 4:1 | 4 |
| აუსტრია | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 4 |
| ადმირა | 2 | 1 | 0 | 1 | 4:2 | 3 |
| გრაცერი | 2 | 1 | 0 | 1 | 1:1 | 3 |
| შტურმი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:4 | 3 |
| ტიროლი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:4 | 3 |
| ზალცბურგი | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | 1 |
| მატერსბურგი | 2 | 0 | 1 | 1 | 1:3 | 1 |
| ბრეგენცი | 2 | 0 | 0 | 2 | 1:8 | 0 |

რეკლამა
სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 94 33 80

ფრანჩესკო ტოტი საცოლე ილარი ბლაზისთან ერთად მზეს ეფიცხება. ფეხბურთელი და მისი ტურფა რომის სამხრეთით, საბაუდაში ისვენებენ. ტოტის სანაპიროს მონაკვეთი დაუქირავებია და 100 მეტრის რადიუსში შემწუხებელი არავინ ჰყავს — ორი გასაშლელი სკამი, ზღვა და ბლაზი.



# დიდი გადაფრენა




მწვრთნელის მძებნელმა გერმანელებმა ყველაფერი ყირამალა დააყენეს. ფრანც ბეკენბაუერი ფრანკფურტში ვინი შეფერთან მოსალაპარაკებლად რომ მიდიოდა, გერმანიის საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტი გერჰარდ მაიერ-ფორფელდერი ნიუ იორკში მხლებლებთან ერთად მიფრინავდა.

პრეზიდენტი ნიუ იორკში ჩავიდა და იურგენ კლინსმანს ხუთი საათი ესაუბრა. კლინსმანს ნაკრების მწვრთნელობა შესთავაზეს და მანაც შეიფერა: „ძალიან გამიხარდა, რომ ჩემს კანდიდატურას განიხილავენ. ჩვენ ნაკრების პრობლემებზე ვილაპარაკეთ და მზად ვარ, შემოთავაზებაზე დავთანხმდე“.

39 წლის გერმანელი საფეხბურთო კარიერის დასრულების შემდეგ საცხოვრებლად ლოს ანჯელესში გადავიდა. მას ჰყავს 33 წლის მეუღლე დები და ორი შვილი: 7 წლის ჯონათანი და 3 წლის ლეილა.

იურგენ კლინსმანს სამწვრთნელო ლიცენზია არ აქვს და თუ ნაკრების თავკაცად მისი დანიშვნა გადაწყდა, ლიცენზიის აღება მოუწევს.

კლინსმანმა უკვე თანაშემწეებიც კი დაასახელა: ოლივერ ბირჰოფი და ჰოლგერ ოსიეკი.

ოსიეკი მსოფლიოს 1990 წლის ჩემპიონატზე ფრანც ბეკენბაუერის თანაშემწედ მუშაობდა და სამწვრთნელო გამოცდილებაც არ დაეწუნება.

**ვაჟა ხუციშვილი**

## რუსეთი

**პრემიერლიგა**
**გადადებული მატჩები**

**მოსკოვი 3:2 შინიკი**

**0:1 რუბინსი (5), 1:1 ბრაკამონტე (43), 2:1 ბუდუნოვი (58პ), 2:2 ფუზაილოვი (65), 3:2 იოპი (77)**

**ალანია 0:2 სპარტაკი**

**0:1 შოავა (60), 0:2 პავლიუჩენკო (90)**

**ალანია: ხომიჩი, აგაევი (კუსოვი 46), ბრაბეცი, ბარასა, დროზდოვი, გვაზავა, იანოვსკი, ბაზაევი, წიკლაური, კორიტკო (ოგანიანი 79), ყაველაშვილი (ცალაგოვი 46)**

**მწვრთნელი: როლან კურბისი**

# სპარტაკმა სამთვიანი შვა

მოსკოვის „სპარტაკმა“ სამთვიანი მოუგებელი სერია პიატიგორსკში შეწყვიტა — ვლადიკავკაზის „ალანიას“ სძლია.

ალანიელთა სტადიონზე ბალახს ცვლიან და მატჩი პიატიგორსკში ამიტომაც გაიმართა.

როლან კურბისის გუნდში ახალწვეულმა ზურაბ წიკლაურმა ითამაშა, რომელიც ელისტის „ურალანიდან“ გადაიყვანეს.

პირველ ტაიმში მოედანზე იყო მიხეილ ყაველაშვილი. ერთხელ მეკარესთან პირისპირაც გავიდა, მაგრამ ბურთი ძალიან წინ გაიგდო და კოვალევსკიმ აჯობა. ყაველაშვილი შესვენებისას შეცვალეს.

წიკლაურმა სამჯერ დაარტყა სპარტაკელთა კარში და მეკარემ სამჯერვე ივარგა, ხოლო მოსკოველებმა კარის ჩარჩოში ერთხელაც ვერ დაუმიზნეს.

მეორე ნახევარში „ალანია“ მეტოქეს მიაწვა, ოღონდ სახეირო არაფერი შეუქმნია. „სპარტაკმა“ კი კონტრშეტევაზე ჯარიმა მოინაგრა, რომელიც შოავამ გამოიყენა და სტუმრები დააწინაურა.

მასპინძლებმა გაქვითეს, თუმც მსაჯმა თამაშგარე მდგომარეობის გამო გააუქმა.

შეხვედრის მიწურულს პავლენკოს პასით პავლიუჩენკომ მეორე შეაგდო და „სპარტაკს“ გამარჯვების გემო გაახსენა.

„მატჩზე ლაპარაკი არ მსურს. ჩემ ფეხბურთელებს მადლობას ვუხდი. მათ თავდაუზოგავად იშრომეს. ამ მოგების შემდეგ ფსიქოლოგიურად მოვყოჩაღდებით“ — თქვა სტუმართა მწვრთნელმა ნევიო სკალამ.

„ალანიას“ თავკაცი როლან კურბისი: „ძალიან ცუდი დრო დაგვიდგა. ქულებს ვანიავებთ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, „სპარტაკთან“ ურიგოდ არ გვითამაშია“.

„მოსკოვმა“ მიჯრით მეორე შეხვედრა მოიგო და მეშვიდე ადგილზე გადაინაცვლა. იაროსლავლის „შინიკი“ მეხუთე წუთზევე დაწინაურდა. რუბინმა შორიდან დაარტყა, მასპინძელმა მეკარე ფილომონოვმა ბურთს ხელი კი წაარტყა, მაგრამ ვერ შეაჩერა.

დამხვდურებმა ტაიმის მიწურულს გაათანაბრეს — ბრაკამონტემ ახლოდან გაიტანა, ხოლო შესვენების შემდეგ ბუდუნოვმა პენალტით „მოსკოვი“ დააწინაურა.

შინიკელმა ფუზაილოვმა საჯარიმო დარტყმით მეორე გაუტანა



ნევიო სკალა

მასპინძლებს, მაგრამ იოპმა ცხრიანში შეჭედა ბურთი და გუნდს სამი ქულა მოუტანა.

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტორპედო | 17 | 10 | 4 | 3 | 31:15 | 34 |
| ზენიტი | 17 | 10 | 3 | 4 | 32:23 | 33 |
| ცსკა | 17 | 8 | 7 | 2 | 28:15 | 31 |
| ლოკომოტივი | 16 | 9 | 4 | 3 | 23:11 | 31 |
| კრილია | 17 | 9 | 4 | 4 | 29:26 | 31 |
| სატურნი | 17 | 4 | 10 | 3 | 18:15 | 22 |
| რუბინი | 17 | 4 | 8 | 5 | 18:17 | 20 |
| მოსკოვი | 16 | 5 | 5 | 6 | 19:20 | 20 |
| ამკარი | 17 | 4 | 8 | 5 | 13:21 | 20 |
| დინამო | 17 | 4 | 7 | 6 | 17:19 | 19 |
| როსტოვი | 16 | 5 | 4 | 7 | 19:23 | 19 |
| ალანია | 17 | 5 | 4 | 8 | 16:22 | 19 |
| სპარტაკი | 15 | 5 | 3 | 7 | 24:26 | 18 |
| შინიკი | 16 | 4 | 6 | 6 | 11:16 | 18 |
| კუბანი | 17 | 2 | 7 | 8 | 15:25 | 13 |
| როტორი | 17 | 1 | 4 | 12 | 16:35 | 7 |

## ფეხბურთის რუკასთან

**რუსულ** „სპარტაკში“ დაბრუნებულმა დმიტრი ალენიჩევმა დანაპირები შეასრულა და მოსკოვში ჩემპიონთა თასი ჩაიტანა. „პორტუს“ ყოფილი ნახევარმცველი თითოეული ფეხბურთელისთვის სანუკვარ ჯილდოს დედაქალაქში ორი დღე გააჩერებს, მერე კი ისევ „პორტუს“ ოფისში დააბრუნებს.

**იტალიურმა** „რომამ“ ბრაზილიელ ლუის ფაბიანოს დაადგა თვალი. დედაქალაქელები მზად არიან, ფორვარდის სანაცვლოდ 8 მილიონი ევრო გადაიხადონ, მაგრამ „სან პაულუ“ 10 მილიონით მეტს ითხოვს. თუ კლუბები საერთო ენას გამონახავენ, ლუის ფაბიანო უკვე მომავალ კვირას ჩავა რომში.

**ესპანური** „ბარსელონას“ ხელმძღვანელობა მზადაა ხავიერ სავიოლას შეელიოს. არგენტინელი თავდამსხმელი კლუბში ერთ-ერთი ყველაზე მაღალანაზღაურებადი ფეხბურთელია და ხუან ლაპორტაც ხარჯების შემცირებას ცდილობს. სავიოლა ხელფასის დაკლებას არ დათანხმდა, ამიტომაც არ გამორიცხავს „ბარსას“ უფროსობა მის გასხვისებას. ამბობენ, „ბაჭიას“ ერთ-ერთი რეალური მსურველი მადრიდის „ატლეტიკოაო“.

**ინგლისური** „ევერტონის“ მფლობელ ბილ კენრაიტის თქმით, უახლოეს დღეებში 18 წლის უეინ რუნი ტრანსფერზე დადგება: „არ მსიამოვნებს ამ თემაზე საუბარი, მაგრამ რუნის გუნდში დარჩენა არ სურს და მისი ტრანსფერზე დაყენება იძულებით მოგვიწევს. ჩვენ ყველანაირად ვცდილობთ მის შენარჩუნებას, მაგრამ არ გამოგვდის. იგი უდავოდ ნიჭიერი ფეხბურთელია“ — განაცხადა კენრაიტმა. გეცოდინებათ, უეინ რუნით რა ხანია „მანჩესტერ იუნაიტედია“ დაინტერესებული.

**დანიის** ნაკრების კაპიტანმა რენე ჰენრიკსენმა ეროვნული გუნდიდან წასვლა გადაწყვიტა. „ვფიქრობ, ახლა უნდა შევჩერდე, სანამ ჯერ კიდევ კარგად ვთამაშობ და კაპიტნის სამკლავურსაც მანდობენ“ — თქვა 34 წლის ვეტერანმა. ჰენრიკსენი ნაკრებში 1998 წლიდან თამაშობს და დღემდე 66 მატჩში მოირგო მისი მაისურა. ამჟამად იგი ბერძნულ „პანათინაიკოსში“ ირიცხება.

**არგენტინელმა** პლეიმეიკერმა ფერნანდო კავენაგიმ მოსკოვის „სპარტაკთან“ კონტრაქტს ხელი მოაწერა და ეს გაჯანჯლებული ტრანსფერიც საბოლოოდ დასრულდა. „ყველა დეტალზე მოვილაპარაკეთ და ოთხწლიანი კონტრაქტიც გავაფორმეთ“ — აღნიშნა „სპარტაკის“ კმაყოფილმა გენერალურმა დირექტორმა იური პერვაკმა.

**ინგლისური** „ლიდსის“ მდგომარეობა კიდევ უფრო გართულდა. პირველ დივიზიონში დაქვეითებული კლუბი მრავალმა ფეხბურთელმა თუ თანამშრომელმა უკვე დატოვა, საუბარია სტადიონის გაყიდვაზეც. ახლა კი იორკშირელთა მდგომარეობა ნორვეგიელ ნახევარმცველ ერიკ ბაკეს ტრავმამაც გაართულა. 26 წლის ფეხბურთელმა მუხლი სერიოზულად დაიშავა და როდის ჩადგება მწყობრში არავინ იცის.

**იტალიური** „იუვენტუსი“ სოლ კემპბელით დაინტერესდა, ლონდონის „არსენალი“ კი მცველს 12 მილიონ ევროდ აფასებს. „იუვე“ კი ცდილობს, ეს თანხა მნიშვნელოვნად შეამციროს, რადგან ტურინელები „მეთოფეებს“ ფულთან ერთად განელ სტეფან აპიას ან ხორვატ იგორ ტუდორს სთავაზობენ.

**ინგლისური** „მიდლსბრო“ 3,11 მილიონ გირვანქად რეი პარლოუს შეიძენს და ჯერაც ლონდონის „არსენალის“ ნახევარმცველი „ბოროსთან“ 3-წლიან კონტრაქტს გააფორმებს. „რივერსაიდის“ ბინადრებმა უკვე გადაიბირეს ჯიმი ფლოიდ ჰასელბაინკი, მარკ ვიდუკა, მიხაელ რაიციგერი და თუ მათ, პარლოუც გადაიყვანეს, მწვრთნელი სტივ მაკლარენი სოლიდურ კომპანიას მოუყრის გუნდში თავს.

**დანიის** ნაკრების 33 წლის მცველი თომას ჰელვეგი მილანის „ინტერიდან“ თავისუფალი აგენტის სტატუსით, ინგლისურ პრემიერლიგაში კარგა ხნის შესვენების შემდეგ დაბრუნებულ „ნორვიჩ სიტიში“ გადავიდა. „უდინეზეს“, „მილანის“ და ზემოხსენებული „ინტერის“ აწ უკვე ყოფილმა ფეხბურთელმა ახალ კლუბთან კონტრაქტი 2+1 წლიანი სისტემით გააფორმა, საფეხბურთო კარიერა კი მშობლიურ „ოდენსეში“ დაიწყო.

**იტალიური** „ინტერის“ სიერალეონელი თავდამსხმელი მოჰამედ კალონი ფრანგულ „მონაკოში“ გადავიდა. ერთი ხნის წინ, ნანდროლონის მოხმარებაში მხილებულმა და მერე დისკვალიფიცირებულმა ფორვარდმა ახალ კლუბთან 2008 წლამდე გააფორმა კონტრაქტი, „ინტერმა“ კი კომპენსაციის სახით 5 მილიონი ევრო მიიღო.

**გერმანული** „შტუტგარტის“ 23 წლის შვეიცარიელი თავდამსხმელი მარკო სტრელერი ახლა ტრავმირებულია, თუმც იმედოვნებს, რომ მოედანს სულ ცოტა, ნოემბერში მაინც დაუბრუნდება. ტრავმის მიუხედავად, სტრელერი „შტუტგარტს“ მაინც ახლავს ავსტრიულ შეკრებაზე. სწორედ, იქ უთხრა ფეხბურთელმა შვეიცარიულ გაზეთ „ბლიკის“ ჟურნალისტს, შემოდგომამდე ჩემს დაბრუნებას ნუ ელითო.

# ესპანეთი. პრიმერადივიზიონი 2004-2005

## 2004 წელი

### 1-ლი ტური: 29 აგვისტო
ოსასუნა : ბილბაო
სოსიედადი : ლევანტე
რასინგი : ბარსელონა
სევილია : ალბასეტე
ატლეტიკო : მალაგა
სარაგოსა : ხეტაფე
მალიორკა : რეალი
ნუმანსია : ბეტისი
ესპანიოლი : დეპორტივო
ვალენსია : ვილიარეალი

### მე-2 ტური: 12 სექტემბერი
ალბასეტე : ატლეტიკო
ბილბაო : ვალენსია
ბარსელონა : სევილია
ბეტისი : ესპანიოლი
დეპორტივო : ოსასუნა
რეალი : ნუმანსია
ხეტაფე : მალიორკა
ლევანტე : რასინგი
ვილიარეალი : სოსიედადი
მალაგა : სარაგოსა

### მე-3 ტური: 19 სექტემბერი
ბილბაო : დეპორტივო
ატლეტიკო : ბარსელონა
ესპანიოლი : რეალი
რასინგი : ვილიარეალი
სევილია : ლევანტე
ვალენსია : სოსიედადი
სარაგოსა : ალბასეტე
მალიორკა : მალაგა
ოსასუნა : ბეტისი
ნუმანსია : ხეტაფე

### მე-4 ტური: 22 სექტემბერი
ალბასეტე : მალიორკა
ბარსელონა : სარაგოსა
ბეტისი : ბილბაო
დეპორტივო : ვალენსია
რეალი : ოსასუნა
სოსიედადი : რასინგი
ხეტაფე : ესპანიოლი
ლევანტე : ატლეტიკო
ვილიარეალი : სევილია
მალაგა : ნუმანსია

### მე-5 ტური: 26 სექტემბერი
ბილბაო : რეალი
ატლეტიკო : ვილიარეალი
დეპორტივო : ბეტისი
ესპანიოლი : მალაგა
სევილია : სოსიედადი
ვალენსია : რასინგი
სარაგოსა : ლევანტე
ოსასუნა : ხეტაფე
მალიორკა : ბარსელონა
ნუმანსია : ალბასეტე

### მე-6 ტური: 3 ოქტომბერი
ალბასეტე : ესპანიოლი
ბარსელონა : ნუმანსია
ბეტისი : ვალენსია
რასინგი : სევილია
რეალი : დეპორტივო
სოსიედადი : ატლეტიკო
ხეტაფე : ბილბაო
ლევანტე : მალიორკა
ვილიარეალი : სარაგოსა
მალაგა : ოსასუნა

### მე-7 ტური: 17 ოქტომბერი
ბილბაო : მალაგა
ატლეტიკო : რასინგი
ბეტისი : რეალი
დეპორტივო : ხეტაფე
ესპანიოლი : ბარსელონა
ვალენსია : სევილია
სარაგოსა : სოსიედადი
მალიორკა : ვილიარეალი
ოსასუნა : ალბასეტე
ნუმანსია : ლევანტე

### მე-8 ტური: 24 ოქტომბერი
ალბასეტე : ბილბაო
ბარსელონა : ოსასუნა
რასინგი : სარაგოსა
რეალი : ვალენსია
სოსიედადი : მალიორკა
სევილია : ატლეტიკო
ხეტაფე : ბეტისი
ლევანტე : ესპანიოლი
ვილიარეალი : ნუმანსია
მალაგა : დეპორტივო

### მე-9 ტური: 31 ოქტომბერი
ბილბაო : ბარსელონა
ბეტისი : მალაგა
დეპორტივო : ალბასეტე
ესპანიოლი : ვილიარეალი
რეალი : ხეტაფე
ვალენსია : ატლეტიკო
სარაგოსა : სევილია
მალიორკა : რასინგი
ოსასუნა : ლევანტე
ნუმანსია : სოსიედადი

### მე-10 ტური: 7 ნოემბერი
ალბასეტე : ბეტისი
ატლეტიკო : სარაგოსა
ბარსელონა : დეპორტივო
რასინგი : ნუმანსია
სოსიედადი : ესპანიოლი
სევილია : მალიორკა
ხეტაფე : ვალენსია
ლევანტე : ბილბაო
ვილიარეალი : ოსასუნა
მალაგა : რეალი

### მე-11 ტური: 14 ნოემბერი
ბილბაო : ვილიარეალი
ბეტისი : ბარსელონა
დეპორტივო : ლევანტე
ესპანიოლი : რასინგი
რეალი : ალბასეტე
ვალენსია : სარაგოსა
ხეტაფე : მალაგა
მალიორკა : ატლეტიკო
ოსასუნა : სოსიედადი
ნუმანსია : სევილია

### მე-12 ტური: 21 ნოემბერი
ალბასეტე : ხეტაფე
ატლეტიკო : ნუმანსია
ბარსელონა : რეალი
რასინგი : ოსასუნა
სოსიედადი : ბილბაო
სევილია : ესპანიოლი
სარაგოსა : მალიორკა
ლევანტე : ბეტისი
ვილიარეალი : დეპორტივო
მალაგა : ვალენსია

### მე-13 ტური: 28 ნოემბერი
ბილბაო : რასინგი
ბეტისი : ვილიარეალი
დეპორტივო : სოსიედადი
ესპანიოლი : ატლეტიკო
რეალი : ლევანტე
ვალენსია : მალიორკა
ხეტაფე : ბარსელონა
ოსასუნა : სევილია
ნუმანსია : სარაგოსა
მალაგა : ალბასეტე

### მე-14 ტური: 5 დეკემბერი
ალბასეტე : ვალენსია
ატლეტიკო : ოსასუნა
ბარსელონა : მალაგა
რასინგი : დეპორტივო
სოსიედადი : ბეტისი
სევილია : ბილბაო
სარაგოსა : ესპანიოლი
ლევანტე : ხეტაფე
მალიორკა : ნუმანსია
ვილიარეალი : რეალი

### მე-15 ტური: 12 დეკემბერი
ალბასეტე : ბარსელონა
ბილბაო : ატლეტიკო
ბეტისი : რასინგი
დეპორტივო : სევილია
ესპანიოლი : მალიორკა
რეალი : სოსიედადი
ვალენსია : ნუმანსია
ხეტაფე : ვილიარეალი
ოსასუნა : სარაგოსა
მალაგა : ლევანტე

### მე-16 ტური: 19 დეკემბერი
ატლეტიკო : დეპორტივო
ბარსელონა : ვალენსია
რასინგი : რეალი
სოსიედადი : ხეტაფე
სევილია : ბეტისი
სარაგოსა : ბილბაო
ლევანტე : ალბასეტე
მალიორკა : ოსასუნა
ვილიარეალი : მალაგა
ნუმანსია : ესპანიოლი



კლაუდიო რანიერის ვალენსიური დებიუტი „ვილიარეალთან“ შედგება

### მე-17 ტური: 22 დეკემბერი
ალბასეტე : ვილიარეალი
ბილბაო : მალიორკა
ბარსელონა : ლევანტე
ბეტისი : ატლეტიკო
დეპორტივო : სარაგოსა
რეალი : სევილია
ვალენსია : ესპანიოლი
ხეტაფე : რასინგი
ოსასუნა : ნუმანსია
მალაგა : სოსიედადი

## 2005 წელი

### მე-18 ტური: 9 იანვარი
ატლეტიკო : რეალი
ესპანიოლი : ოსასუნა
რასინგი : მალაგა
სოსიედადი : ალბასეტე
სევილია : ხეტაფე
ვალენსია : ლევანტე
სარაგოსა : ბეტისი
მალიორკა : დეპორტივო
ვილიარეალი : ბარსელონა
ნუმანსია : ალბასეტე

### მე-19 ტური: 16 იანვარი
ალბასეტე : რასინგი
ბილბაო : ესპანიოლი
დეპორტივო : ნუმანსია
ბეტისი : მალიორკა
რეალი : სარაგოსა
ხეტაფე : ატლეტიკო
მალაგა : სევილია
ოსასუნა : ვალენსია
ბარსელონა : სოსიედადი
ლევანტე : ვილიარეალი

### მე-20 ტური: 23 იანვარი
ბილბაო : ოსასუნა
ლევანტე : სოსიედადი
ბარსელონა : რასინგი
ალბასეტე : სევილია
მალაგა : ატლეტიკო
ხეტაფე : სარაგოსა
რეალი : მალიორკა
ბეტისი : ნუმანსია
დეპორტივო : ესპანიოლი
ვილიარეალი : ვალენსია

### 21-ე ტური: 30 იანვარი
ატლეტიკო : ალბასეტე
ვალენსია : ბილბაო
სევილია : ბარსელონა
ესპანიოლი : ბეტისი
ოსასუნა : დეპორტივო
ნუმანსია : რეალი
მალიორკა : ხეტაფე
რასინგი : ლევანტე
სოსიედადი : ვილიარეალი
სარაგოსა : მალაგა

### 22-ე ტური: 6 თებერვალი
დეპორტივო : ბილბაო
ბარსელონა : ატლეტიკო
რეალი : ესპანიოლი
ვილიარეალი : რასინგი
ლევანტე : სევილია
სოსიედადი : ვალენსია
ალბასეტე : სარაგოსა
მალაგა : მარიორკა
ბეტისი : ოსასუნა
ხეტაფე : ნუმანსია

### 23-ე ტური: 12 თებერვალი
მალიორკა : ალბასეტე
სარაგოსა : ბარსელონა
ბილბაო : ბეტისი
ვალენსია : დეპორტივო
ოსასუნა : რეალი
რასინგი : სოსიედადი
ესპანიოლი : ხეტაფე
ატლეტიკო : ლევანტე
სევილია : ვილიარეალი
ნუმანსია : მალაგა

### 24-ე ტური: 19 თებერვალი
რეალი : ბილბაო
ვილიარეალი : ატლეტიკო
ბეტისი : დეპორტივო
მალაგა : ესპანიოლი
სოსიედადი : სევილია
რასინგი : ვალენსია
ლევანტე : სარაგოსა
ხეტაფე : ოსასუნა
ბარსელონა : მალიორკა
ალბასეტე : ნუმანსია

### 25-ე ტური: 26 თებერვალი
ესპანიოლი : ალბასეტე
ნუმანსია : ბარსელონა
ვალენსია : ბეტისი
სევილია : რასინგი
დეპორტივო : რეალი
ატლეტიკო : სოსიედადი
ბილბაო : ხეტაფე
მალიორკა : ლევანტე
სარაგოსა : ვილიარეალი
ოსასუნა : მალაგა

### 26-ე ტური: 2 მარტი
მალაგა : ბილბაო
რასინგი : ატლეტიკო
რეალი : ბეტისი
ხეტაფე : დეპორტივო
ბარსელონა : ესპანიოლი
სევილია : ვალენსია
სოსიედადი : სარაგოსა
ვილიარეალი : მალიორკა
ალბასეტე : ოსასუნა
ლევანტე : ნუმანსია

### 27-ე ტური: 6 მარტი
ბილბაო : ალბასეტე
ოსასუნა : ბარსელონა
სარაგოსა : რასინგი
ვალენსია : რეალი
მალიორკა : სოსიედადი
ატლეტიკო : სევილია
ბეტისი : ხეტაფე
ესპანიოლი : ლევანტე
ნუმანსია : ვილიარეალი
დეპორტივო : მალაგა

### 28-ე ტური: 13 მარტი
ბარსელონა : ბილბაო
მალაგა : ბეტისი
ალბასეტე : დეპორტივო
ვილიარეალი : ესპანიოლი
ხეტაფე : რეალი
ატლეტიკო : ვალენსია
სევილია : სარაგოსა
რასინგი : მალიორკა
ლევანტე : ოსასუნა
სოსიედადი : ნუმანსია

### 29-ე ტური: 20 მარტი
ბეტისი : ალბასეტე
სარაგოსა : ატლეტიკო
დეპორტივო : ბარსელონა
ნუმანსია : რასინგი
ესპანიოლი : სოსიედადი
მალიორკა : სევილია
ვალენსია : ხეტაფე
ბილბაო : ლევანტე
ოსასუნა : ვილიარეალი
რეალი : მალაგა

### 30-ე ტური: 3 აპრილი
ვილიარეალი : ბილბაო
ბარსელონა : ბეტისი
ლევანტე : დეპორტივო
რასინგი : ესპანიოლი
ალბასეტე : რეალი
სარაგოსა : ვალენსია
მალაგა : ხეტაფე
ატლეტიკო : მალიორკა
სოსიედადი : ოსასუნა
სევილია : ნუმანსია

### 31-ე ტური: 10 აპრილი
ხეტაფე : ალბასეტე
ნუმანსია : ატლეტიკო
რეალი : ბარსელონა
ოსასუნა : რასინგი
ბილბაო : სოსიედადი
ესპანიოლი : სევილია
მალიორკა : სარაგოსა
ბეტისი : ლევანტე
დეპორტივო : ვილიარეალი
ვალენსია : მალაგა

### 32-ე ტური: 17 აპრილი
რასინგი : ბილბაო
ვილიარეალი : ბეტისი
სოსიედადი : დეპორტივო
ატლეტიკო : ესპანიოლი
ლევანტე : რეალი
მალიორკა : ვალენსია
ბარსელონა : ხეტაფე
სევილია : ოსასუნა
სარაგოსა : ნუმანსია
ალბასეტე : მალიორკა

### 33-ე ტური: 24 აპრილი
ვალენსია : ალბასეტე
ოსასუნა : ატლეტიკო
მალაგა : ბარსელონა
დეპორტივო : რასინგი
ბეტისი : სოსიედადი
ბილბაო : სევილია
ესპანიოლი : სარაგოსა
ხეტაფე : ლევანტე
ნუმანსია : მალიორკა
რეალი : ვილიარეალი

### 34-ე ტური: 1 მაისი
ბარსელონა : ალბასეტე
ატლეტიკო : ბილბაო
რასინგი : ბეტისი
სევილია : დეპორტივო
მალიორკა : ესპანიოლი
სოსიედადი : რეალი
ნუმანსია : ვალენსია
ვილიარეალი : ხეტაფე
სარაგოსა : ოსასუნა
ლევანტე : მალაგა

### 35-ე ტური: 8 მაისი
დეპორტივო : ატლეტიკო
ვალენსია : ბარსელონა
რეალი : რასინგი
ხეტაფე : სოსიედადი
ბეტისი : სევილია
ბილბაო : სარაგოსა
ალბასეტე : ლევანტე
ოსასუნა : მალიორკა
მალაგა : ვილიარეალი
ესპანიოლი : ნუმანსია

### 36-ე ტური: 15 მაისი
ვილიარეალი : ალბასეტე
მალიორკა : ბილბაო
ლევანტე : ბარსელონა
ატლეტიკო : ბეტისი
სარაგოსა : დეპორტივო
სევილია : რეალი
ესპანიოლი : ვალენსია
რასინგი : ხეტაფე
ნუმანსია : ოსასუნა
სოსიედადი : მალაგა

### 37-ე ტური: 22 მაისი
რეალი : ატლეტიკო
ოსასუნა : ესპანიოლი
მალაგა : რასინგი
ალბასეტე : სოსიედადი
ხეტაფე : სევილია
ლევანტე : ვალენსია
ბეტისი : სარაგოსა
დეპორტივო : მალიორკა
ბარსელონა : ვილიარეალი
ბილბაო : ნუმანსია

### 38-ე ტური: 29 მაისი
რასინგი : ალბასეტე
ესპანიოლი : ბილბაო
ნუმანსია : დეპორტივო
მალიორკა : ბეტისი
სარაგოსა : რეალი
ატლეტიკო : ხეტაფე
სევილია : მალაგა
ვალენსია : ოსასუნა
სოსიედადი : ბარსელონა
ვილიარეალი : ლევანტე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარბიელი და კროსი

## წარმოგიდგენთ

## სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ავსტრია. I დივიზიონი. I ტური** | | | | | | |
| | | **23 ივლისი** | | | | | | |
| 20.00 | 008 | ალტახი-ლინცერი | 2,25 | 3,2 | 2,8 | 1,32 | 1,24 | 1,49 |
| 21.00 | 009 | გრატკორნი-კაფენბერგი | 2,7 | 3,2 | 2,3 | 1,46 | 1,24 | 1,33 |
| 21.00 | 010 | ლეობენი-კერნტენი | 2,7 | 3,2 | 2,3 | 1,46 | 1,24 | 1,33 |
| 21.00 | 011 | რიდი-აუსტრია(ლ) | 1,9 | 3,2 | 3,5 | 1,19 | 1,23 | 1,67 |
| 21.00 | 012 | უნტერზიბენბრიუნი-ვიორგლი | 1,8 | 3,3 | 3,6 | 1,16 | 1,19 | 1,72 |
| | | **შვეიცარია. სუპერლიგა. II ტური** | | | | | | |
| | | **23 ივლისი** | | | | | | |
| 21.30 | 016 | სერვეტი-გრასჰოპერი | 2,25 | 3,2 | 2,9 | 1,32 | 1,26 | 1,52 |
| 21.30 | 017 | ბაზელი-ქსამაქსი | 1,2 | 5,6 | 10,0 | 1 | 1,07 | 3,58 |
| 21.30 | 018 | იანგ ბოიზი-შაფჰაუზენი | 1,4 | 4,0 | 7,0 | 1,03 | 1,16 | 2,54 |
| | | **დანია. სუპერლიგა. I ტური** | | | | | | |
| | | **24 ივლისი** | | | | | | |
| 19.00 | 021 | სილკებორგი-კოპენჰაგენი | 3,6 | 3,3 | 1,85 | 1,72 | 1,22 | 1,18 |
| | | **25 ივლისი** | | | | | | |
| 17.00 | 022 | ოლბორგი-მიდტიულანდი | 1,85 | 3,3 | 3,6 | 1,18 | 1,22 | 1,72 |
| 17.00 | 023 | ნორდსიელანდი-ორჰუსი | 2,2 | 3,2 | 3,0 | 1,3 | 1,26 | 1,54 |
| 17.00 | 024 | ჰერფიოლგე-ვიბორგი | 2,4 | 3,2 | 2,6 | 1,37 | 1,24 | 1,43 |
| 19.35 | 025 | ბრიონდბიუ-ოდენსე | 1,7 | 3,4 | 4,4 | 1,13 | 1,22 | 1,91 |
| | | **შვედეთი. ალსვენსკა. XIII ტური** | | | | | | |
| | | **24 ივლისი** | | | | | | |
| 18.00 | 030 | იურგორდენი-იორებრო | 1,65 | 3,5 | 4,6 | 1,12 | 1,21 | 1,98 |
| | | **25 ივლისი** | | | | | | |
| 19.00 | 031 | კალმარი-ელფსბორგი | 2,0 | 3,1 | 3,5 | 1,21 | 1,27 | 1,64 |
| 19.00 | 032 | სუნდსვალი-ტრელებორგი | 1,6 | 3,6 | 4,8 | 1,1 | 1,2 | 2,05 |
| | | **26 ივლისი** | | | | | | |
| 21.00 | 033 | გიოტებორგი-ლანდსკრონა | 1,6 | 3,5 | 5,0 | 1,09 | 1,21 | 2,05 |
| 21.00 | 034 | ჰელსინგბორგი-აიკ | 2,05 | 3,1 | 3,4 | 1,23 | 1,27 | 1,62 |
| | | **შვედეთი. სუპერეტა. XV ტური** | | | | | | |
| | | **24 ივლისი** | | | | | | |
| 18.00 | 037 | ენჩიოპინგი-ფალკენბერგი | 1,8 | 3,4 | 3,5 | 1,17 | 1,18 | 1,72 |
| | | **25 ივლისი** | | | | | | |
| 18.00 | 038 | ბოდენსი-გაის | 2,8 | 3,3 | 2,2 | 1,51 | 1,23 | 1,32 |
| 20.00 | 039 | ბრაგე-ვესტეროსი | 2,15 | 3,3 | 2,9 | 1,3 | 1,23 | 1,54 |
| 20.00 | 040 | ბრომაპოიკარნა-იოსტერსი | 2,35 | 3,2 | 2,6 | 1,35 | 1,23 | 1,43 |
| 20.00 | 041 | ჰეკენი-ფრისკა | 1,15 | 5,0 | 10,0 | 1 | 1,03 | 3,33 |
| 20.00 | 042 | ასირისკა-ოპერა | 1,85 | 3,3 | 3,5 | 1,18 | 1,21 | 1,69 |
| 20.00 | 043 | ატვიდაბერგი-ფრიოლუნდა | 2,15 | 3,3 | 2,9 | 1,3 | 1,23 | 1,54 |
| 20.00 | 044 | გეფლე-ნორჩიოპინგი | 2,2 | 3,3 | 2,8 | 1,32 | 1,23 | 1,51 |
| | | **ნორვეგია. ტიპელიგა. XV ტური** | | | | | | |
| | | **25 ივლისი** | | | | | | |
| 20.00 | 047 | სოგნდალი-სტაბეკი | 2,15 | 3,3 | 3,0 | 1,3 | 1,25 | 1,57 |
| 20.00 | 048 | ოდ გრენლანდი-ბოდიო გლიმტი | 1,75 | 3,4 | 4,0 | 1,15 | 1,21 | 1,83 |
| 20.00 | 049 | რუსენბორგი-ფრედრიკსტადი | 1,1 | 7,0 | 14,0 | 1 | 1,01 | 4,66 |
| 20.00 | 050 | ლილესტრიომი-ვიკინგი | 1,85 | 3,2 | 3,8 | 1,17 | 1,24 | 1,73 |
| 20.00 | 051 | ტრომსიო-ჰამარი | 1,55 | 3,6 | 5,3 | 1,08 | 1,19 | 2,14 |
| 22.15 | 052 | მოლდე-ბრანი | 2,15 | 3,3 | 3,0 | 1,3 | 1,25 | 1,57 |
| | | **26 ივლისი** | | | | | | |
| 21.00 | 053 | ვოლერენგა-ლინი | 2,4 | 3,1 | 2,7 | 1,35 | 1,27 | 1,44 |
| | | **რუსეთი. პრემიერლიგა. XVII ტური** | | | | | | |
| | | **23 ივლისი** | | | | | | |
| 16.00 | 079 | ცსკა-რუბინი | 1,25 | 4,6 | 9,0 | 1 | 1,09 | 3,04 |
| | | **24 ივლისი** | | | | | | |
| 16.00 | 080 | ლოკომოტივი-დინამო | 1,5 | 3,6 | 5,6 | 1,05 | 1,18 | 2,19 |
| 16.00 | 081 | როსტოვი-კრილია | 2,7 | 2,8 | 2,5 | 1,37 | 1,29 | 1,32 |
| | | **25 ივლისი** | | | | | | |
| 16.00 | 082 | ალანია-ზენიტი | 3,0 | 3,0 | 2,25 | 1,5 | 1,28 | 1,28 |
| 16.00 | 083 | სატურნი-ტორპედო | 2,4 | 2,9 | 2,8 | 1,31 | 1,29 | 1,42 |
| 16.00 | 084 | მოსკოვი-ამკარი | 1,7 | 3,1 | 4,8 | 1,09 | 1,25 | 1,88 |
| | | **სლოვაკეთი. I ლიგა. I ტური** | | | | | | |
| | | **24 ივლისი** | | | | | | |
| 20.00 | 107 | ბ.ბისტრიცა-ტრენჩინი | 1,5 | 3,5 | 5,6 | 1,04 | 1,18 | 2,15 |
| 20.00 | 108 | დუბნიცა-პუხოვი | 1,75 | 3,2 | 4,0 | 1,13 | 1,21 | 1,77 |
| 20.00 | 109 | სობოტა-რუჟომბეროკი | 2,5 | 3,0 | 2,45 | 1,36 | 1,23 | 1,34 |
| | | **25 ივლისი** | | | | | | |
| 12.30 | 110 | პეტრჟალკა-ინტერი | 2,0 | 3,1 | 3,3 | 1,21 | 1,24 | 1,59 |
| | | **ხორვატია. 1.HNL. I ტური** | | | | | | |
| | | **23 ივლისი** | | | | | | |
| 22.00 | 114 | ჰაიდუკი-პულა | 1,2 | 5,0 | 10,0 | 1 | 1,07 | 3,33 |
| | | **24 ივლისი** | | | | | | |
| 20.00 | 115 | მედიმურიე-რიეკა | 2,5 | 3,0 | 2,45 | 1,36 | 1,23 | 1,34 |
| 20.00 | 116 | ზაგრები-ინტერი | 2,0 | 3,1 | 3,3 | 1,21 | 1,24 | 1,59 |
| 22.00 | 117 | კამენი-ვარტეკსი | 2,2 | 3,1 | 2,9 | 1,28 | 1,25 | 1,49 |
| | | **25 ივლისი** | | | | | | |
| 20.00 | 118 | ზადარი-დინამო | 4,8 | 3,4 | 1,6 | 1,99 | 1.2 | 1,08 |
| | | **ბრაზილია. სერია A. XVIII ტური** | | | | | | |
| | | **24 ივლისი** | | | | | | |
| 23.00 | 136 | კურიტიბა-ბოტაფოგო | 1,7 | 3,3 | 4,4 | 1,12 | 1,22 | 1,88 |
| 23.00 | 137 | კრიკიუმა-ატლეტიკო პრ | 2,0 | 3,2 | 3,3 | 1,23 | 1,24 | 1,62 |
| 23.00 | 138 | ფლუმინენსე-კორინთიანსი | 1,8 | 3,1 | 4,0 | 1,13 | 1,24 | 1,74 |
| 23.00 | 139 | ინტერნასიონალი-ჟუვენტუდი | 1,65 | 3,3 | 4,8 | 1,1 | 1,22 | 1,95 |
| 23.00 | 140 | სან პაულუ-ვასკუ და გამა | 1,7 | 3,3 | 4,4 | 1,12 | 1,22 | 1,88 |
| 24.00 | 141 | ვიტორია-გუარანი | 1,65 | 3,3 | 4,8 | 1,1 | 1,22 | 1,95 |
| 01.00 | 142 | კრუზეირო-სან კაეტანო | 1,75 | 3,2 | 4,2 | 1,13 | 1,23 | 1,81 |
| 01.00 | 143 | ფლამენგო-ატლეტიკო მნ | 1,95 | 3,2 | 3,4 | 1,21 | 1,23 | 1,64 |
| 03.30 | 144 | პალმეირასი-ფიგეირენსე | 1,75 | 3,2 | 4,2 | 1,13 | 1,23 | 1,81 |
| 03.30 | 145 | პარანა-პაისანდუ | 1,85 | 3,2 | 3,6 | 1,17 | 1,22 | 1,69 |
| 03.30 | 146 | პონტე პრეტა-გრემიო | 1,6 | 3,4 | 5,0 | 1,08 | 1,21 | 2,02 |
| 03.30 | 147 | გოიასი-სანტოსი | 2,25 | 3,1 | 2,9 | 1,3 | 1,26 | 1,49 |
| | | **აშშ. MLS** | | | | | | |
| | | **24 ივლისი** | | | | | | |
| 01.00 | 151 | კოლორადო-კოლამბუსი | 2,1 | 3,1 | 3,2 | 1,25 | 1,26 | 1,57 |
| 04.30 | 153 | დალასი-ვაშინგტონი | 2,2 | 3,1 | 3,0 | 1,28 | 1,26 | 1,52 |
| 04.30 | 154 | კანზასი-ლოს ანჯელესი | 2,1 | 3,1 | 3,2 | 1,25 | 1,26 | 1,57 |
| 06.00 | 155 | სან ხოსე-ნიუ ინგლენდი | 1,8 | 3,1 | 4,0 | 1,13 | 1,24 | 1,74 |
| | | **ინტერტოტოს თასი. III ეტაპი. II მატჩები** | | | | | | |
| | | **24 ივლისი** | | | | | | |
| 19.30 | 174 | ოფკ-ტამპერე | 1,45 | 3,8 | 6,0 | 1,04 | 1,16 | 2,32 |
| 17.00 | 175 | ესბიერგი-ვეტრა | 1,3 | 4,2 | 8,0 | 1 | 1,11 | 2,75 |
| 17.00 | 176 | დორტმუნდი-გენკი | 1,3 | 4,2 | 8,0 | 1 | 1,11 | 2,75 |
| 17.00 | 177 | დინამო(მნ)-ლილი | 2,5 | 3,1 | 2,45 | 1,38 | 1,23 | 1,36 |
| 18.00 | 178 | როდა-ლიბერეცი | 2,1 | 3,1 | 3,2 | 1,25 | 1,26 | 1,57 |
| 19.00 | 179 | ვარდარი-შალკე | 3,2 | 3,3 | 1,9 | 1,62 | 1,19 | 1,2 |
| 19.00 | 180 | სპარტაკი-ვილიარეალი | 2,5 | 3,0 | 2,5 | 1,36 | 1,25 | 1,36 |
| 20.00 | 181 | ტრნავა-სლავენი | 1,65 | 3,3 | 3,6 | 1,1 | 1,13 | 1,72 |
| 21.00 | 182 | ჰამბურგი-თუნი | 1,35 | 4,0 | 7,5 | 1 | 1,14 | 2,6 |
| 22.00 | 183 | კორკი-ნანტი | 3,4 | 3,1 | 2,0 | 1,62 | 1,25 | 1,21 |
| 23.45 | 184 | ატლეტიკო-ზლინი | 1,25 | 4,8 | 8,0 | 1 | 1,08 | 3 |

**შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

COPA AMERICA PERU 2004

# ამერიკის თასი 2004. ჯგუფური ეტაპი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 24 ივლისი | | | | | | |
| 04.45 | 013 | კოლუმბია-ურუგვაი | 2,45 | 3,1 | 2,7 | 1,36 | 1,28 | 1,44 |
| | | 25 ივლისი | | | | | | |
| 24.00 | 014 | არგენტინა-ბრაზილია | 2,4 | 3,0 | 2,9 | 1,33 | 1,31 | 1,47 |

**I ტაიმის შედეგი**

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 24 ივლისი | | | | | | |
| 5013 | კოლუმბია-ურუგვაი | 2,9 | 2,05 | 3,3 | 1,2 | 1,54 | 1,26 |
| | 25 ივლისი | | | | | | |
| 5014 | არგენტინა-ბრაზილია | 2,9 | 2,0 | 3,4 | 1,18 | 1,56 | 1,25 |

**რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს**

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| | 24 ივლისი | | |
| 5413 | კოლუმბია-ურუგვაი | 1,85 | 1,95 |
| | 25 ივლისი | | |
| 5414 | არგენტინა-ბრაზილია | 1,85 | 1,95 |

| 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო. | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 24 ივლისი | | | | | | | | | |
| 5113 | კოლუმბია-ურუგვაი | 3,6 | 10,0 | 20,0 | 4,8 | 4,4 | 4,8 | 20,0 | 10,0 | 4,0 |
| | 25 ივლისი | | | | | | | | | |
| 5114 | არგენტინა-ბრაზილია | 3,6 | 10,0 | 20,0 | 4,6 | 4,4 | 5,0 | 20,0 | 10,0 | 4,2 |

**რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი**

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| | 24 ივლისი | | | |
| 5513 | კოლუმბია-ურუგვაი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| | 25 ივლისი | | | |
| 5514 | არგენტინა-ბრაზილია | 3,0 | 2,8 | 2,0 |

**გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)**

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| | 24 ივლისი | | |
| 5313 | კოლუმბია-ურუგვაი | 1,6 | 2,0 |
| | 25 ივლისი | | |
| 5314 | არგენტინა-ბრაზილია | 1,6 | 2,0 |

**რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)**

| | | | |
|---|---|---|---|
| | 24 ივლისი | | |
| 5213 | კოლუმბია-ურუგვაი | 1,7 | 1,9 |
| | 25 ივლისი | | |
| 5214 | არგენტინა-ბრაზილია | 1,65 | 1,95 |

CROCO BOOKMAKERS კროკო

ისარგებლეთ კროკოს ახალი მომსახურებით

CROCO BOOKMAKERS ტელკრედიტი TELCREDITI

10 42 00 24

+%

## ფორმულა 1 (გერმანია). 24 ივლისი (12.00)

| 8001 გამარჯვებული | | 8201 ექვსეული | | 8301 უსწ. წრე |
|---|---|---|---|---|
| მ.შუმახერი | 1,35 | 1,05 | 1,02 | 1,4 |
| ბარიკელო | 5,5 | 1,5 | 1,08 | 4,0 |
| მონტოია | 12,0 | 2,5 | 1,2 | 7,0 |
| პიცონია | 30,0 | 6,0 | 1,5 | 15,0 |
| კულტჰარდი | 20,0 | 4,0 | 1,3 | 15,0 |
| რაიკონენი | 8,0 | 1,8 | 1,15 | 6,0 |
| ტრული | 12,0 | 2,5 | 1,2 | 10,0 |
| ალონსო | 12,0 | 2,5 | 1,2 | 10,0 |
| ბატონი | 9,0 | 1,9 | 1,15 | 6,0 |
| სატო | 25,0 | 4,6 | 1,4 | 12,0 |
| ფიზიკელა | 100,0 | 20,0 | 3,0 | 40,0 |
| მასა | 150,0 | 20,0 | 3,5 | 50,0 |
| უებერი | 100,0 | 20,0 | 3,0 | 40,0 |
| კლიენი | 150,0 | 20,0 | 3,5 | 50,0 |
| და მატა | 150,0 | 20,0 | 3,5 | 50,0 |
| პანისი | 150,0 | 20,0 | 3,5 | 50,0 |
| ჰაიდფელდი | 250,0 | 50,0 | 7,0 | 75,0 |
| პანტანო | 300,0 | 50,0 | 7,0 | 75,0 |
| ბრუნი | 500,0 | 100,0 | 12,0 | 100,0 |
| ბაუმგარტნერი | 500,0 | 100,0 | 12,0 | 100,0 |

## კროკოს ბიუროთა მისამართები

CROCO BOOKMAKERS კროკო

ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქები სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | ფურცელაძის ქუჩა №10 | კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში |
| | ალმაშენებლის გამზირი №70 | |
| | გლდანის მასივი, ხიზანიშვილის ქუჩა №4 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №46 | მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან" (ყოფილი „დელისი") |
| | ნინამძღვრიშვილის ქუჩა №200 | ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში |
| | გურამიშვილის გამზირი №50 | მეტრო „ღრმაღელესთან" |
| | წერეთლის გამზირი, კორპუსი №11 | |
| | ჭავჭავაძის გამზირი № 41 | |
| | გამსახურდიას გამზირი № 3 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №91 | |
| | იოანე პეტრინის ქუჩა № 13 | დიდი დიღომი, მეორე მიკრორაიონი |
| | ხუდადოვის ქუჩა №4 | |
| | დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, 1ა კორპუსი | |
| | ვარკეთილი, კალოუბნის „აბ" კორპუსი №48 | |
| | მელიქიშვილის ქუჩა №15 | |
| | ისანი - კახეთის გზატკეცილი | ისნის ბაზრობის მიმდებარე ტერიტორია |
| | წერეთლის გამზირი №141 | |
| ქუთაისი | პუშკინის ქუჩა №16 | ტელეკომპანია „ივერიონის" შენობაში |
| | წმინდა ნინოს ქუჩა № 13 | |
| | ჭავჭავაძის № 67 | ცენტრალური ავტოსადგური |
| გორი | სტალინის ქუჩა №14 | |
| თელავი | „ახალი ავტოსადგური" ალაზნის გამზირი | |
| ბათუმი | მემედ აბაშიძის ქუჩა № 1 | |
| მარნეული | რუსთაველის ქუჩა №50 | |
| ოზურგეთი | გაბრიელ ეპისკოპოსის ქუჩა №2 | |
| გურჯაანი | დავით გურამიშვილის ქუჩა №28 | |
| საგარეჯო | დავით ალმაშენებლის №30 | |
| სამტრედია | რუსთაველის გამზირი №27 | |
| ხაშური | რუსთაველის ქუჩა №16 | |
| წნორი | სტალინის ქუჩა №1 | |
| ბორჯომი | რუსთაველის ქუჩა №145 | |
| ზესტაფონი | გრიგოლ რობაქიძის ქუჩა №6 | |
| ახალციხე | ნათენაძის ქუჩა №7 | |
| რუსთავი | შარტავას ქუჩა №7 | |

# ქართველები ათენში

# თელაველს გამარჯოს!

## მეგობრობა გერმანიაშიც იციან

*თავისუფალი სტილის მოჭიდავე ლექსო მოდებაძემ სწორედ მაშინ მიიღო მძიმე ტრავმა, როცა აღმასვლას იწყებდა. 2001 წლის ევროპის ჩემპიონატზე მან ვერცხლი მოიგო და მალევე ხელი მოიტეხა. მკურნალობას მთელი წელი დასჭირდა. ხალიჩას მიბრუნებულმა ისევ მოინადირა და 2003 წელს ევროვერცხლს შესწვდა, თუმც ტრავმიანობა დასჩემდა და ხან რა წამოსტკივდება, ხან რა. ახლახან მოიშუშა გატეხილი ნეკნი და ოლიმპიადისთვის მთელი მონდომებით ვარჯიშობს, ამბობს, მცირე ტრავმები ჯერაც მაწუხებს, მაგრამ აღარაფერი მაინტერესებს, ახლა მხოლოდ ათენზე ვფიქრობ. ქართველ მოჭიდავეებში ოქროს მოგების მთავარ კანდიდატად მოდებაძე ელდარ კურტანიძეს მიიჩნევს, მაგრამ ამბობს, ოლიმპიადა ხომ იმისაა, ვიღაც უცნობი გამოხტეს და პატარა სასწაული მოახდინოსო. ვინ იცის, ეგებ ამ „ვიღაცაში" თავის თავსაც გულისხმობდეს...*

— ჭიდაობაზე მამაჩემმა მიმიყვანა. ის ევროპისა და საბჭოთა კავშირის აბსოლუტური ჩემპიონი იყო და მწვრთნელთან რომ მივყავდი, მითხრა, ჩემს მოგებულ ტიტულებს არაფერი დააკლოო. საბჭოთა კავშირი აღარ არსებობს, მაგრამ საქართველოს ჩემპიონი არაერთხელ გავხდი, ხოლო ევროპის ჩემპიონობამდე ერთი ნაბიჯი დამაკლდა 2001 წელს, ფინალში დავით მუსულბესთან დავმარცხდი.

**— მამაშენი თელაველია და ალბათ შენც იქ დაიწყე ჭიდაობა...**

— ჰო, თელავში დავიწყე ჭიდაობა 1992 წელს ოთარ ქოზაშვილთან, მაგრამ წელიწადნახევარში, სპორტული სკოლა დაიხურა და თბილისში, ფალავანთა კლუბში გადმოვედი ზაზა თურმანიძესა და მარლენ ოსიყმაშვილთან. სხვათა შორის, ცოტა დაგვიანებით, 15 წლისა შევედი ჭიდაობაზე, მაგრამ პირველი წარმატებების მოსაპოვებლად ბევრი ცდა არ დამჭირდა, კადეტებში, ჭაბუკებში და ახალგაზრდებში მიყოლებით გავხდი საქართველოს ჩემპიონი. 1998 წლიდან კი ნაკრების პირველი ნომერი ვარ.

**— ეს უკვე მეორე ოლიმპიადაა შენთვის. პირველს ხომ ვერ გაიხსენებდი...**

— სიდნეიში არ გამიმართლა. პირველ ბრძოლაში ბერძენის დამარცხების შემდეგ ირანელმა მსოფლიოს ჩემპიონმა მომიგო და ჯგუფში ჩავრჩი.

**— ფიქრობ, რომ მეტი შეგეძლო?**

— რა ვიცი, ალბათ კი. სიდნეის ოლიმპიადის მეორე წელს ევროპის ჩემპიონატის ფინალში გავედი, მაგრამ...

**— და ტრავმაც მიიღე...**

— ევროპის 2001 წლის ჩემპიონატის შემდეგ მალევე ვიტკინე ხელი, არადა, მსოფლიოს პირველობა ახლოვდებოდა. ძალიან სერიოზული ტრავმა გამოდგა, სამკურნალოდ საზღვარგარეთ მომიწია წასვლამ. მაშინ გვერდში დამიდგა ოლიმპიური კომიტეტი და კერძოდ, ჯანო ბაგრატიონი, რომელმაც გერმანიაში გასამგზავრებელი თანხა გამომინახა.

**— ვიცით, რომ გერმანიაში კარგა ხანს დარჩი...**

— ძალიან გამიმართლა, გერმანელებმა ოპერაცია ნახევარ ფასში გამიკეთეს და 3 თვეც უფასოდ მიმკურნალეს. საქმე ისაა, რომ კლინიკა, რომელშიც მე ვმკურნალობდი, ბიბერახში იყო, ეს ქალაქი კი თელავთან დაძმობილებული გამოდგა.

**— თავიდან არ იცოდი, რომ ძმობილ ქალაქში მიდიოდი?**

— არა, ეს თავად ბიბერახელებმა მითხრეს. რომ გაიგეს, თელაველი ვიყავი, თან გადამყვნენ, ოპერაციისთვის საჭირო თანხის ნახევარი ხომ აღარ გადამახდევინეს და, სანამ ბოლომდე არ გამომაჯანმრთელეს, გერმანიაში უფასოდ მაცხოვრეს. გაზეთშიც კი გამომჭიმეს. მოკლედ, თელაველობა ძალიან გამომადგა.

**— ყველაზე დასამახსოვრებელი დღე შენს კარიერაში...**

— 2003 წელს ევროპის ჩემპიონატზე მოგებული ბრინჯაო მახსენდება ყველაზე კარგად. ვერცხლიც მაქვს მოგებული, მაგრამ ამ გამარჯვებამ უფრო გამახარა, რადგან ერთწლიანი პაუზის შემდეგ გავედი ხალიჩაზე და პრიზიორთა შორის მოვხვდი. თან მორალურად გატეხილი ვიყავი ავადმყოფობით, ხელი მართლაც ცუდ დღეში მქონდა, სახსარში იყო ჩაკეტილი.

**— დღეს როგორ ფორმაში ხარ?**

— მადლობა ღმერთს, ახლა რამე სერიოზული რომ არ მჭირს. სულ ახლახან მოვირჩინე ნეკნი, რომელიც მაჰაჩყალის ტურნირზე გამიტყდა. ისე ვარ გაწამებული, თუ რამე სერიოზული ტრავმა არაა, აღარც ვაქცევ ყურადღებას, ოლიმპიადამდე სულ მცირე დროა დარჩენილი და რადაც არ უნდა დამიჯდეს, ათენში საბრძოლო ფორმით უნდა ჩავიდე.



**ლექსო მოდებაძე**

**თავისუფალი ჭიდაობა**

დაიბადა 1978 წლის 21 თებერვალს თბილისში
წონა: 108 კგ (მძიმე)
სიმაღლე: 190 სმ
ოჯახი: მშობლები, ორი ძმა და და

შედეგები

1997 წლის ახალგაზრდული ევროპის ჩემპიონატი — ბრინჯაო
1998 ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატი — ვერცხლი
1998 მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატი — ვერცხლი
2001 ევროპის ჩემპიონატი — ვერცხლი
2003 ევროპის ჩემპიონატი — ბრინჯაო
საერთაშორისო ტურნირების მრავალგზის ჩემპიონი და პრიზიორი

**— ბადრი პატარკაციშვილის ჩემპიონისთვის დაწესებულ 400 ათასს ხომ არ უმიზნებ?**

— ფული არაა მთავარი, მე პირველ რიგში შედეგზე ვფიქრობ და მერე პრემიაზე.

**— ათენში ვის მიიჩნევ მთავარ კონკურენტად?**

— დავით მუსულბესს, ვისთანაც დავმარცხდი 2001 წლის ევროპის ჩემპიონატის ფინალსა და 2003 წლის ნახევარფინალში. მაგრამ, ჯერ არაა გადაწყვეტილი, რუსები მუსულბესს გამოიყვანენ მძიმე წონაში, თუ ვინმე სხვას. ისე, მირჩევნია, ისევ მუსულბესი იყოს, მასთან რამდენჯერმე მიჭიდავია და დაახლოებით ვიცი მისი სუსტი წერტილები. სხვათა შორის, მუსულბესი ქართველია, მისი წინაპრები ჩოხელები იყვნენ და გვარი გადაუკეთებიათ. დავითი ქართველობს და ყოველთვის ძალიან გულთბილად მხვდება.

**— ჩემპიონობის ყველაზე კარგი შანსი ვის აქვს?**

— თუ მოგებაა, ოქროს და მასთან ერთად 400 ათასსაც ელდარ კურტანიძე მოიგებს. შემდეგ მოდიან რეზო მინდორაშვილი და დავით პოღოსიანი. ისე, შანსი, ყველას აქვს, ოლიმპიადაზე ხომ ხშირია შემთხვევები, როცა სრულიად უცნობი, უფრო სწორად, უტიტულო სპორტსმენი გამოვარდება და მედალს მოიგებს. მუხრან ვახტანგაძე საქართველოს ჩემპიონი არ ყოფილა და სიდნეიში ბრინჯაო მოიგო. მერე ხუმრობდა, ხულოს პრიზიორი არ ვყოფილვარ და ოლიმპიური ბრინჯაო მოვიგეო.

**— შენ თუ გიყვარს ხუმრობა?**

— რავი, კახელებს გვიყვარს ხუმრობა...

**— და დროსტარებაც...**

— გააჩნია, დროსტარებაში რას გულისხმობ. მეგობრებში ყოფნას, სანადიროდ და სათევზაოდ სიარულს რა სჯობს...

**— ამხელა ტანის კაცს სმაზე რომ არ შეგეკითხო, არ იქნება...**

— დალევით ეგებ ბევრიც დავლიო, მაგრამ არ მიყვარს. ვსვამ წვენებს, ბორჯომს, ლიმონათს, ალკოჰოლი კი არ მიყვარს.

**— რატომ, რომ თვრები ჩხუბობ?**

— აღარც მახსოვს, ჩემი მიზეზით ბოლოს როდის ვიჩხუბე. ძმაკაცების გამო კი ხშირად მომსვლია დაკა-დაკა.

**— ბევრი ძმაკაცი გყავს?**

— საკმაოდ. მოჭიდავეებმა საერთოდ კარგი ძმაკაცობა იციან, ეს ცნობილი ფაქტია სპორტულ სამყაროში.

**ირაკლი პერტაია**





ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უსაფრთხოება ფულად და შფოთვად ღირს

## ოლიმპიადა ლამის მესამე მსოფლიო ომივით გვიახლოვდება






რაც უფრო ახლოვდება ათენის ოლიმპიური თამაშები, მით უფრო ძლიერდება შთაბეჭდილება, რომ ეს ქალაქი, მთელი საბერძნეთი და მასთან ერთად მსოფლიო, დიდი სპორტული ზეიმისთვის კი არა, მესამე მსოფლიო ომისთვის ემზადება. ეს ყველაფერი ნიუ იორკის 2001 წლის 11 სექტემბერის ამბებმა და შემდგომ მადრიდში, სტამბოლში თუ სხვაგან განხორციელებულმა საშინელმა ტერაქტებმა განაპირობეს. ამიტომაც სულ უფრო იზრდება ათენის ოლიმპიური თამაშების უსაფრთხოებისთვის გამოყოფილი თანხის ოდენობა. ბოლო მონაცემებით, ამ თანხამ 1,2 მილიარდ ევროს მიაღწია. ეს ხუთჯერ მეტია, ვიდრე სიდნეის ოლიმპიურ თამაშებზე იყო.

ოლიმპიური თამაშების მონაწილეებს ათენში 70 ათასი კაცი დაიცავს.

„ოლიმპიადის უსაფრთხოებისთვის მგონი ჩვენ ყველაფერი გავაკეთეთ, რაც ადამიანის გონებას შეუძლია მოიფიქროს და საამისოდ უახლესი ტექნოლოგიური მიღწევები გამოვიყენეთ“ — ამბობენ საბერძნეთის მთავრობაში და იქვე ერთ-ერთი მათი წარმომადგენელი დასძენს, მიუხედავად ამისა, ათლეტთა ასპროცენტიანი გარანტიით დაცვა შეუძლებელიაო.

ამას წინათ მადრიდის რკინიგზაზე ტერორისტული აქტის შემდეგ საბერძნეთმა დახმარებისთვის ნატოს მიმართა. პასუხად ჩრდილოატლანტიკურმა ალიანსმა ავაქსის თვითმფრინავ რადარებითა და საზღვაო ძალების მეშვეობით, რომლებიც ხმელთაშუა ზღვაზე არიან ბაზირებულნი, დაიწყეს საჰაერო „ქოლგის“ მოწყობაზე ზრუნვა და საბერძნეთის სანაპიროს დაცვა.

ამას გარდა 28 ივლისიდან სრულ საბრძოლო მზადყოფნაში მოიყვანენ ჩეხეთში ბაზირებულ 150-კაციან ჯგუფს, რომელიც მოწოდებულია ბირთვული, რადიოლოგიური, ბიოლოგიური და ქიმიური დავდასხმის ასაცილებლად.

ნატო საბერძნეთში გააგზავნის აგრეთვე 300-კაციან სამხედრო მოსამსახურეთა ქვედანაყოფს, რომელიც ოლიმპიადის უსაფრთხოებაზეც იზრუნებს და საჭიროების შემთხვევაში ამერიკელთა დელეგაციის ევაკუაციასაც უზრუნველყოფს. ამ რაზმს სათავეში ჩაუდგება... ამერიკის ექსპეზიდენტი ჯორჯ ბუში უფროსი.

300-დან 500-მდე ალიანსის სამხედრო მოსამსახურე ათენის მახლობლად სამხედრო ბაზა ულეუზის მახლობლად დაბანაკდება; ხოლო 50 ნატოელი ოფიცერი, რომელთა ვიწრო სპეციალობაც უშიშროების საკითხებია, მთელ საბერძნეთის ტერიტორიაზე კონტრტერორისტული პუნქტების სამეთაურო შტაბებში იმორიგევებს.

ეს დამატებითი ღონისძიებები დამტკიცდა უსაფრთხოების ექსპერტთა საბჭოზე, რომელშიც 2001 წლიდან შედიან ავსტრალიის, დიდი ბრიტანეთის, გერმანიის, ისრაელის, ესპანეთის, ამერიკისა და საფრანგეთის წარმომადგენლები. იმავდროულად, ბერძნები აქტიურად თანამშრომლობენ რუსეთის, ჩინეთის, იტალიისა და ბალკანეთიდან მოსაზღვრე სახელმწიფოების შესაბამის სამსახურებთან. ამ საქმეში თავიანთი წვლილი შეაქვთ ევროპოლისისა და ინტერპოლის თანამშრომლებს.

ოლიმპიური თამაშების მასპინძელთა შეფუცხუნება გააძლიერა ამას წინათ ადგილობრივი მემარცხენე ესქტრემისტული დაჯგუფების მიერ მოწყობილმა აფეთქებებმა, რომელთაგან ყველაზე სერიოზული 5 მაისს განხორციელდა. მაშინ ოლიმპიური თამაშების დაწყებამდე 100 დღე რჩებოდა მათ ის აფეთქება პოლიციის კომისარიატის შენობასთან მოაწყვეს.

ერთ-ერთი ასეთი ბანდის წევრებმა, რომლებიც თავიანთ ორგანიზაციას „რევოლუციურ ბრძოლას“ უწოდებენ, საკუთარ მტრებად გამოაცხადეს... სპორტული დელეგაციების ოფიციალური წარმომადგენლები და მათი თანმხლები პირები, რომლებიც, ექსტრემისტთა თქმით, ათენში ოლიმპიურ თამაშებისას ძალზე ბევრნი ჩამოვიდნენ.

სხვა აქამდე უცნობმა ტერორისტულმა ჯგუფმა, „წინააღმდეგობის უჯრედმა“ 14 მაისს ცრემლსადენი ყუმბარები დააყარა ორი ბანკის შესასვლელს, ჯგუფმა ამით გამოხატა ოლიმპიური კომიტეტის საორგანიზაციო კომიტეტთან ბანკების თანამშრომლობის მიმართ პროტესტი.

სხვა ტერორისტულმა, „სახალხო რევოლუციური მოქმედების“ ჯგუფმა 19 მაისს განახორციელა თავდასხმა ბრიტანეთის საავტომობილო ფირმის თანამშრომლებზე და ამგვარად გამოხატა უკმაყოფილება „ბრიტანელთა ხელმძღვანელ როლზე“, რომლებიც თამაშების უხიფათობაზე ზრუნავენ.

ყველა ამ პროვოკაციათა შემდეგ ათენში საბერძნეთის ხელისუფლებამ 1 ივლისიდან შემოიღო უშიშროების ოპერატიული გეგმა. მას შემდეგ მრავალი პოლიციური რაზმები დღედაღამ პატრულირებენ მეტნაკლებად მნიშვნელოვან ობიექტებს. ქალაქის ყველა სტრატეგიულ ადგილზე დამონტაჟებულია ასობით სათვალთვალო კამერა. ამ გეგმის შესაბამისად ყველა ოლიმპიური ობიექტის მიმდებარე ტერიტორიაზე სამ-სამი უსაფრთხოების ზონაა შექმნილი. ეს ეხებათ ოლიმპიური ოჯახის წევრთა საცხოვრებელ ადგილებსაც, მაგალითად, პირეის პორტში, სადაც ღუზა ჩაუშვია მცურავი სასტუმროების მთელ ფლოტს მათ შორისაა ლაინერი „ვესტერდამი“, სადაც „რუსული სახლი“ განთავსდება და „ქუინ მერი-2“, რომელიც მთელ მსოფლიოში ყველაზე დიდი სამგზავრო ხომალდია.

ათენის ოლიმპიური თამაშებისადმი ამდენმა ვნებათაღელვამ, ეტყობა, ტურისტებიც დააფრთხო, რომლებიც ოლიმპიური თამაშების დღეებში ძველებური რაოდენობით აღარ აპირებენ ჩასვლას.

პროგნოზის თანახმად, შარშანდელთან შედარებით წლეულს საბერძნეთში 8 პროცენტით ნაკლები ტურისტი ჩავა. იმავდროულად ტურისტთა რაოდენობა გაიზრდება ესპანეთში, თურქეთსა და კვიპროსში. ამას ნაწილობრივ განაპირობებს, უწინარეს ყოვლისა, საბერძნეთში ავიაბილეთებისა და სასტუმროების გაძვირება.

ტურისტთა ასეთი მიგრაცია საბერძნეთს სერიოზული ეკონომიკური უსიამოვნებებით ემუქრება.

საქმე ისაა, რომ საბერძნეთში ფინანსური ბრუნვის 18 პროცენტი ტურიზმის სფეროზე მოდის, ამასთან ტურიზმი 80 ათასამდე კაცს ასაქმებს.

**ავთანდილ ჭყვიშელი**



## ტურ დე ფრანსი

# მიდი, მოგე!

## არმსტრონგი ლენდისს ეტაპს ჩუქნიდა

**ლენს არმსტრონგმა** ისევ მოიგო, ზედიზედ მესამედ სამ დღეში, თანაც, არ დაგავიწყდეთ, სამივე ეს ეტაპი სამთო იყო. 32 წლის ტეხასელი ალპებამდეც ყოჩაღად მიდიოდა, აქ კი საეთოდ დაადო თავი და ყველანი სადღაც მთის ძირში დატოვა. არა, ამ ეტაპზე მას ბოლომდე მიჰყვნენ ყოფილი კონკურენტები — სწორედაც ყოფილი, რაკი არმსტრონგი უკვე ჩაითვლება ჩემპიონად — მაგრამ მოქმედმა და მომავალმა ჩემპიონმა კლოედენს რამდენიმე გოჯით შეასწრო ფინიშზე, ულრიხსა და ბასოს კი მეტრებით.

თავად არმსტრონგს რომ დაეკითხნენ, მან დღის გმირად თანაგუნდელი ფლოიდ ლენდისი დაასახელა. ამით მან მუშა თანაგუნდელს მადლობა გადაუხადა. ლენდისი მთელი ეტაპი გუნდის ლიდერისთვის მუშაობდა და თითქმის მთელი გზა წინ ედგა მოიერიშე ჯგუფს.

„ფინიშამდე 14 კილომეტრით ადრე ფლოიდს ვუთხარი, თუ შეგიძლია, გაიჭერი და ეტაპი შენ მოიგე-მეთქი. დღეს მან ეს სავსებით დაიმსახურა“ — ამბობდა არმსტრონგი. მაგრამ სურვილი ერთია და შესაძლებლობა მეორე. რას მოიგებდა, მან მთელი თავისი ენერგია გუნდის ინტერესებს დაახარჯა.

| XVII ეტაპი. 22 ივლისი. ბურგი — ლე გრან ბორნანი. 204 კმ | |
|---|---|
| 1 ლენს არმსტრონგი (აშშ, US პოსტალი) | 6სთ 11წთ 52წმ |
| 2 ანდრეას კლოედენი (გერმანია, T-მობაილი) | იგივე დრო |
| 3 იან ულრიხი (გერმანია, T-მობაილი) | +1წმ |
| 4 ივან ბასო (იტალია, CSC) | იგივე დრო |
| 5 ფლოიდ ლენდისი (აშშ, US პოსტალი) | 1წთ 1წმ |
| **საერთო ჩათვლა** | |
| 1 ლენს არმსტრონგი (აშშ, US პოსტალი) | 74სთ 4წთ 56წმ |
| 2 ივან ბასო (იტალია, CSC) | +4წთ 9წმ |
| 3 ანდრეას კლოედენი (გერმანია, T-მობაილი) | +5წთ 11წმ |
| 4 იან ულრიხი (გერმანია, T-მობაილი) | +8წთ 8წმ |
| 5 ხოსე აზევედო (პორტუგალია, პოსტალი) | +10წთ 41წმ |




ლენს არმსტრონგი ყვითელ მაისურას აღარც გაიხდის

# თბილისში მხოლოდ მოსაგებად ჩამოვალ

## თამაზ ჩიხლაძის ვაჟს გუნდური თამაში ეხერხება

*საქართველო – ეგვიპტის ჯვირისწინანდელი დევისთასური დაპირისპირების ბედი მესამე შეხვედრამ გადაწყვიტა. ირაკლი ლაბაძემ ლადო ჩიხლაძე შეიამხანაგა და არაბებს მესამე ქულაც ავართვით. ლაბაძე დანარჩენ სტუმარ-მასპინძელ ჩოგბურთელებს კლასით აშკარად აღემატებოდა, თუმც იმ თამაშს მხოლოდ მის მიერ მოგებულს ნამდვილად ვერ დაარქმევდით. ევროპაში მოვარჯიშე 19 წლის ჩიხლაძემ თავი მშვენივრად წარმოაჩინა და გადამწყვეტი დარტყმით თამაშიც დაავგვირგვინა. მეორე დღეს ლადო ისევ გავიდა კორტზე, მაგრამ მოულოდნელად ისე წააგო, მეტოქეს ხეირიანი წინააღმდეგობაც ვერ გაუწია. დევისის თასსა და ინდივიდუალურ კარიერაზე ჩიხლაძეს გუშინ ვესაუბრეთ. დღეს კი იგი გერმანიაში გაფრინდა ახალი კონტრაქტის გასაფორმებლად*



— თუ გახსოვს, როდის და როგორ დაიწყო შენი უცხოური კარიერა?

— 12 წლის ვიყავი, როცა მწვრთნელ თემურ კაკულიასთან ერთად სამი უცხოური ტურნირი მოვიარე და სამჯერვე 14-წლამდელთა შორის გავიმარჯვე. მაშინვე გამოჩნდა გერმანული ვარიანტები და მიუნხენში, ნიკიპილიჩის აკადემიაში გავაგრძელე ვარჯიში გორან ივანიშევიჩისა და ივო კარლოვიჩის გვერდით. მალე 14-წლამდელთა რეიტინგში მერვე ადგილამდე ავედი, 16-წლამდელებში კი მეთორმეტემდე. გერმანიაში ოთხი წელი გავატარე და ამერიკას მივაშურე.



ერთი კვირის წინ ლადო ჩიხლაძემ საქართველოს ეგვიპტის ძლევაში ჩოგანი წაახმარა

— იქაც მიწვევით მოხვდი?

— არა, ამერიკაში სალომე დევიძის დახმარებით წავედი. მან ბოლეტიერის აკადემიის მთავარ მწვრთნელს იენ მაიერს დამაკავშირა. სხვათა შორის, ეს სპეციალისტი მანამდე ანდრე აგასისა და დებ უილიამსებსაც ავარჯიშებდა. მასთან ორი წელი დავყავი. აქედან ერთი მისსავე სახლში ვცხოვრე. იმ პერიოდში საგრძნობლად მოვძლიერდი. არაერთი ტურნირი მოვიგე, წყვილებში როლან გაროსის ფინალშიც ვითამაშე და 18-წლამდელთა რეიტინგში 800 საფეხურითაც წავიწიე წინ, თან 5-6 თვე ენდი როდიკთან ერთადაც მიწევდა ვარჯიში. მერე გულმა ისევ ევროპისკენ გამომიწია და კვლავ გერმანიაში ჩავედი. ჰაიდელბერგთან მდებარე პატარა ქალაქ ვისლოხში ვვარჯიშობდი და გერმანიის საკლუბო ჩემპიონატშიც გამოვდიოდი. ჩემი ბოლო გაჩერება ჯერჯერობით სწორედ ვისლოხია, თუმც გერმანიაში დაბრუნებისთანავე ალბათ ახალ კონტრაქტს მოვაწერ ხელს.

— ვისთან?

— მიუნხენში ახალი კორტები კეთდება. როგორც ერთმა იქაურმა მეგობარმა შემატყობინა, ძალიან სერიოზული. დიდი შანსია, კონტრაქტი ჩასვლისთანავე გავაფორმო.

— და ვარჯიშსაც მიუნხენში განაგრძობ?

— კორტზე გასვლას ალბათ მინიმუმ ორი კვირა ვერ შევძლებ. ხელი მტკივა და ჯობია, ბოლომდე მოვირჩინო.

— დევისის თასზეც ხომ არ გაწუხებდა?

— ხეირიანად ჯერ კიდევ ორი თვის წინანდელი იტალიური დევისთასური შეხვედრების შემდეგ აღარ მივარჯიშია. ჯერ იყო და წითელა შემეყარა, მერე კი ზედ ტრავმაც დაერთო და თბილისში წამოსვლისას ექიმმა თამაში ამიკრძალა. ბოლოს მხოლოდ წყვილებში თამაშის ნება დამრთო.

— წყვილებში მოიგე და მეორე ჯგუფში დარჩენაც გავინაღდეთ, მაგრამ შემდეგ დღეს ერთეულებში მაინც გამოხვედი. რატომ?

— გადაწყვეტილება გუნდის კაპიტანთან ერთად მივიღე. წყვილებში ისე კარგად ვითამაშე, ერთეულებშიც აუცილებლად ჩავთვალე კორტზე გასვლა. ერთი უსიამოვნო ტრადიციის დარღვევაც მინდოდა, თითქმის ორი წელია, თბილისში რამდენჯერაც ჩამოვედი სათამაშოდ, გამარჯვებული უკან ვერასოდეს გავბრუნდი.

— ამჯერად რამ შეგიშალა ნავსის გატეხვაში ხელი?

— პირველ რიგში იმ ბარიერმა, რომელიც ვერაფრით გადავლახე. საკუთარ კედლებში თამაში ძალიან მიჭირს. კორტზე გასვლამდე ყველა მაყურებელს და ცოტა არ იყოს, ვითრგუნები. რაღაც შემეშლება და მერე ნელ-ნელა ვიჭრები. ამჯერად ხელის შემშლელ ფაქტორებს ტრავმაც დაემატა. წყვილებში თამაშისას მარჯვენა ხელის სამი ნერვი დავიზიანე. რესპუბლიკურში ნემსები გამიკეთეს და გამაფრთხილეს, თამაშისგან თავი შემეკავებინა. არ დავუჯერე წყვილებში გამარჯვებით უზომოდ გახარებულმა, მაგრამ მაინც წავაგე.

— ლაბაძის გვერდით დაბნეულობისა არაფერი გეტყობოდა.

— ირაკლი ძალიან ძლიერი ჩოგბურთელია და მის გვერდით მეც მეტად თავდაჯერებული ვიყავი. შეგადაში რჩევებსაც მაძლევდა, ლამის თქმის ყველაფერი გამომდიოდა. როგორც ჩანს, გუნდურად თამაში უფრო მეხერხება, ვიდრე ინდივიდუალურად. მამაჩემის შვილი არ ვარ?

— მართლა საინტერესოა, თამაზ ჩიხლაძის ვაჟი კალათბურთს რატომ არ გაჰყევი?

— ბავშვობაში კალათბურთზეც დავდიოდი, თუმც სულ რაღაც ერთი წლით, მერე კი მთლიანად ჩოგბურთზე გადავერთე. ალბათ მამაჩემს ერჩივნა, მის კვალს გავყოლოდი, მაგრამ ასე არ მოხდა.

— დევისის თასს მივუბრუნდეთ. ეგვიპტემდე იტალიას ვეთამაშეთ და პირველ ჯგუფში გადასვლის შანსი დავკარგეთ. იმ თამაშის მოგება თუ შეიძლებოდა?

— იტალიას გაცილებით ძლიერი ნაკრები ჰყავდა, ვიდრე ეგვიპტეს, მაგრამ მისი დამარცხებაც სავსებით რეალური იყო. წყვილებში დასანანი მარცხი განვიცადეთ.

— შენი აზრით, ნაკრებმა იტალიაში უკეთ ითამაშა თუ საქართველოში?

— ძნელი სათქმელია. პირადად მე იქ უფრო ნაკლებად ვნერვიულობდი და შედარებით თავდაჯერებულიც ვიყავი.

— იტალიური შეხვედრების მერე ლაბაძემ ხუმრობით გვითხრა, ლადოს მთავარი პრობლემა ტრიბუნებისთვის თამაშიაო...

— ჩემთვისაც არაერთხელ უთქვამს. ეგვიპტესთანაც სულ მაგას ჩამჩიჩინებდა. მესამე სეტში 5:1-ს ვიგებდით და ვუთხარი, მოდი, ეს გეიმი წავაგოთ და შემდეგში მე დავამთავრებ-მეთქი. გაგიჟდა, შენსას მაინც არ იშლიო. ბოლოს მაინც ასე მოხდა.

— სპეციალისტები შენს მთავარ მინუსად ფსიქოლოგიურ მომზადებას ასახელებენ. ეთანხმები?

— აშკარად ასეა. ფიზიკურად და ტექნიკურად ბევრად უკეთ ვარ მომზადებული, ვიდრე ფსიქოლოგიურად. იმედია, ამას მალე გამოვასწორებ და თბილისურ გამარჯვებებსაც მივეჩვევი.

— კიდევ როდის აპირებ ჩამოსვლას?

— ოქტომბერში თბილისში ორი თხუთმეტიათასიანი ტურნირი ტარდება. მათზე მხოლოდ იმ შემთხვევაში ვითამაშებ, თუ საუკეთესო ფორმაში ვიქნები. თბილისში თუ ჩამოვალ, აუცილებლად მოსაგებად.

**ოთარ მაღლაკელიძე**

რაგბი

# რაგბი მოითმენს, მოედანი მოიგებს

## რკინიგზულ-ყოჩური: შაბათს შევერკინოთ

**გუშინ** საქართველოს შიდა სარაგბო სეზონს ეკვატორი უნდა გადაელახა, მაგრამ ბუნებამ სხვაგვარად გათვალა და თავსხმა წვიმამ „ლოკომოტივის“ სტადიონზე გასამართი საქართველოს თასის ფინალი „ლოკომოტივი“ — „სტუ ყოჩები“ შაბათისთვის, 24 ივლისისთვის გადადო. რა თქმა უნდა, თუ ისევ ნიაღვარი არ მოასკდა თბილისს...

ჯერ ისედაც ვერ ხასხასებს ვაკის არენის გაზონი და ახლა სარაგბო ჯახი რა დღეში ჩააგდებდა... მით უმეტეს, სულ მალე საფეხბურთო სეზონი დაიწყება. იქამდეც, 27 ივლისს, „ვიტ ჯორჯიამ“ ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო მატჩში „ვისლას“ სწორედ ვაკეში უნდა უმასპინძლოს და „ლოკომოტივის“ მინდვრის საფარი დასაჯიჯგნად ვის გაემეტებოდა. მოკლედ, არც „ლოკო“ და არც „ყოჩები“ წყალბურთის იმტაზე არ იყვნენ და ორივე გუნდის ხელმძღვანელობამ საქართველოს რაგბის კავშირის საშეჯიბრო კომიტეტთან მოითათბირა — ჩატარდეს ფინალი 24 ივლისს, ისევ დათქმულ ადგილას და დათქმულ დროს ანუ 18 საათზე.

„ლოკომოტივის“ სათადარიგო მოედნის ვარიანტიც მივსინჯეთ, მაგრამ იქაც ტბორები დაგვხვდა. გეგმა ნამდვილად არ აგვერევა, ან ორი დღით თამაშის გადადებამ რა პრობლემა უნდა შეგვიქმნას“ — გვითხრა „ყოჩებს“ თავკაცმა მალხაზ ჭეიშვილმა.

რკინიზგელთა კაპიტანი კახა ალანიაც მშვიდად შეხვდა მატჩის გადადებას, თუმც ისიც თქვა, რომ დღევანდელი ფინალის შემდეგ 10 დღე უნდა დაესვენათ და მერე შავი ზღვის ქვეყნების თასისთვის უნდა დაეწყოთ სამზადისი. ბოლოს მაინც არ გაიტეხა იხტიბარი, არა უშავს, „ლოკომ“ თასი ისევ აწიოს და შვებულების შემოკლებას ვინ ჩივისო.

პრინციპში, წლევანდელ სათასო სეზონს გადადებულ-გადმოდებულ-გაუქმებული მატჩები თუ გუნდნაკლულობა სტარტიდანვე დაებედა და ბუნების ძალით, ფინიშიც ასეთიაა...

**ილია ნანობაშვილი**



„ლოკომოტივი“ — „ყოჩები“ ორი დღით ანუ ხვალისთვის გადაიდო



REUTERS

სერენა უილიამსი მშობლიურ სანახებში ჩვეულად ვერ ბობოქრობს

# აგასი: აგასი უნდა გამოვიზოგო

## ენდიბოის წვიმამ შეაწყვეტინა, სერენას კი დასცხა

**RCA CHAMPIONSHIPS**
**ინდიანაპოლისი. ჰარდი**
**საპრიზო 600 ათასი $**

**მეორე წრე**

**სებასტიან გროჟანი** (3, საფრანგეთი) — ჟულიენ ჟანპიერი (საფრანგეთი) 6:7 (6:8), 6:3, 6:4; **გრეგორი კარა** (საფრანგეთი) — მარდი ფიში (5, აშშ) 7:6 (7:4), 7:6 (7:4); **დომინიკ ჰრბატი** (6, სლოვაკეთი) — ფაბრის სანტორო (საფრანგეთი) 6:3, 6:2; **იან ჰერნიხი** (ჩეხეთი) — სხენგ შალკენი (7, ჰოლანდია) 7:5, 1:0 შალკენმა შეწყვიტა; **იოახიმ იოჰანსონი** (11, შვედეთი) — გრეგ რუზეცკი (ბრიტანეთი) 6:7 (5:7), 6:3, 6:4; **ნიკოლას კიფერი** (12, გერმანია) — ივო კარლოვიჩი (ხორვატია) 6:0, 7:6 (7:0); **კაროლ ბეკი** (სლოვაკეთი) — მაქს მირნი (13, ბელარუსი) 6:4, 7:6 (7:5); **ქსავიე მალისი** (14, ბელგია) — **ჯეფ** მორისონი (აშშ) 6:1, 6:2; **რობი ჯინეპრი** (15, აშშ) — სებასტიან დე შონა (საფრანგეთი) 6:3, 6:2; **ალექს ბოგომოლოვი** (აშშ) — რობინ სოდერლინგი (16, შვედეთი) 6:2, 6:2

ინდიანაპოლისობის მეორე წრეში იმ დღეს ლამის ყველამ მოასწრო თამაში პირველ ნომრად განთესილი ენდი როდიკისა და მისი მეტოქის, შვეიცარიელი მიხელ კრატოხვილის გარდა. ენდიბოი 6:4, 2:5 იგებდა, როცა კორტს კათხისპირულმა წვიმამ მოასხა და შარშანდელ ჩემპიონს მატჩის ბოლომდე მიყვანა არ დააცადა.

სხვაფრივ — დღის უმთავრეს მოულოდნელობად იქცა მეხუთე ნომრად განთესილი მარდი ფიშის გაბუნძულება განუთესავ ფრანგ კარას მიერ. ტიტულისთვის ბრძოლა ასევე დროზე ადრე შეწყვიტეს სხენგ შალკენმა (7) და ტაილორ დენტმაც (9). ორივეს ფალარათი ჰქონია, მაგრამ, თუკი შალკენმა ერთი სეტი მაინც გაძლო, დენტმა ტოდ რიდთან სათამაშოდ გასვლა საერთოდაც იუარა. ვინძლო — არც გაემტყუნებოდა.

ახლა კი ორიოდ სიტყვა ანდრე აგასის შესახებ. 34 წლის არმენოამერიკელმა, ვინაც წინა კვირაში ლოსანჯელესურ მაგარსაფარზე რანგით პირველი ჩოგანი აქნია, მეოთხედფინალამდე მიატანა და იქ მომავალ ჩემპიონ ტომი ჰაასთან დამარცხდა, ინდიანაპოლისში ჩასვლას შინ დარჩენა არჩია — აქაოდა, ტრავმირებული ბარძაყი ისევ მაწუხებსო.

ძია ანდრემ თქვა, რომ მისთვის მთავარი წლეულს აშშ-ის ღია პირველობაზე თამაშია და საიმისოდ, რათა ამ ტურნირამდე კაცურად მივიდეს, ათენის ოლიმპიადასაც გამოაკლდება.

**JP MORGAN CHASE OPEN**
**კარსონი. ჰარდი**
**საპრიზო 585 ათასი $**

**მეორე წრე**

**სერენა უილიამსი** (1, აშშ) — ელენი დანილიდუ (საბერძნეთი) 6:1, 7:6 (7:3); **ლინდსი დევენპორტი** (3, აშშ) — ანე კრემერი (ლუქსემბურგი) 7:5, 6:2; **სვეტლანა კუზნეცოვა** (5, რუსეთი) — მარია ვენტო-კაბჩი (ვენესუელა) 6:3, 6:3; **აი სუგიამა** (6, იაპონია) — ნიკოლ პრატი (ავსტრალია) 6:2, 6:4; **ვერა ზვონარიოვა** (8, რუსეთი) — ტინა პისნიკი (სლოვენია) პისნიკს არ უთამაშია; **ელენა კოსტანიჩი** (ხორვატია) — პატი შნიდერი (9, შვეიცარია) 6:1, 7:6 (7:5); **ანა სმაშნოვა-პისტოლეზი** (10, ისრაელი) — დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკეთი) 7:6 (7:5), 6:4

კარსონში იმ დღესაც განთესილთა ალლუმი იყო — ცაცია კოსტანიჩის მიერ შეწირულ პატი შნიდერს (9) თუ არ ჩავთვლით, უკლებლივ ყველა განთესილმა მესამე წრეს უწია. ნომრიანებს პირველოსანმა სერენა უილიამსმა უყოჩა, ვინაც უიმბლდონის ფინალში მაშა შარაპოვასთან ჩაფლავების შემდეგ თავისი პირველი მატჩი ოდნავ უთანაბროდ კი ჩაატარა, მაგრამ მაინც იმარჯვა.

ტურნირის 1999, 2000 წლების ჩემპიონი სერენა ელენი დანილიდუს მეორე სეტში 3:1 უგებდა და თითქოს ასე უპრობლემოდვე უნდა ჩაემთავრებინა. მაგრამ საკმარისი იყო, სადავეები ოდნავ მიეშვა და ძალიან მალე ტაიბრეიკზე ბუღრაობაც მოუხდა.

დღეს ძალიან ცხელოდაო, იმართლებოდასავით მერე სერენა, თუმცა მერე ასე დასძენდა — მაინც სოლიდურად ვიჩოგნავეო.

ნაღდად სოლიდურად კი იმ დღეს უფრო ლინდსი დევენპორტი გაირჯა, ვინაც წინა კვირას, სტენფორდულ ფინალში სწორედ სერენას უფროს დაიკო ვინუსს აჯობა და კარსონშიც დასტურ შემართულად გამოიყურება. ეგ არცაა გასაკვირი, რაკილა 1996 წლიდან დღემდე — 1999 წლის გამოკლებით — ლინდსი აქ ყოველ წელს ფინალში გადიოდა და სამჯერ (1996, 1998, 2001 წლებში) ტიტულსაც გამოკრა.

**GENERALI OPEN KITZBUHEL**
**კიცბიუელი. თიხნარი**
**საპრიზო 800 ათასი €**

**მეორე წრე**

**რაინერ შუტლერი** (1, გერმანია) — ანდრეას სეპი (იტალია) 3:6, 7:6 (15:13), 6:0; **გასტონ გაუდიო** (2, არგენტინა) — ივო მინარი (ჩეხეთი) 6:4, 6:1; **მარიანო საბალეტა** (5, არგენტინა) — ოსკარ ერნანდესი (ესპანეთი) 7:6 (7:5), 6:2; **ფერნანდო ვერდასკო** (ესპანეთი) — ფრანკო სკილარი (არგენტინა) 7:6 (7:3), 6:2; **რადეკ შტეპანეკი** (ჩეხეთი) — ირაკლი ლაბაძე (9, საქართველო) 6:2, 7:6 (7:1)

მომდევნო წრეში გასავაკებლად ტურნირის მთავარგანთესილ რაინერ შუტლერს 20 წლის ანდრეას სეპისთან ორსაათიანი და 15-წუთიანი ბრძოლის გადახდა დასჭირდა, რომლის დროსაც მან ჭაბუკ მეტოქეს ჯამში 10 (!) მატჩბურთი გაუცუდა.

განსტოდ გაუდიო კი თავისი ზედიზედ მეოთხე სათიხნარო ფინალისკენ მიილტვის — ჩეხ კვალიფიკანტ ივო მინარს რომ 74 წუთში მოერია, ეს მისი მე-18 გამარჯვება გახლდათ ბოლო 20 შეხვედრაში, რაიც — დაგვეთანხმებით — ხოშიანი რეზულტატია.

**ლევან ძელაურაძე**



# აქეთ მობრძანდით, ვჰა-ში ახალი ლიგა დაფუძნდება

**ნჰლ-ში** თუ არაფერი შეიცვალა, შემოდგომაზე შეიძლება დანი ჰიტლი „დეტროიტის" რიგებში ვიხილოთ, მარტენ სან ლუი „ფლორიდაში", ილია კოვალჩუკი კი — „ტორონტოში". კი მაგრამ, დანი ჰიტლი ხომ „ატლანტას" ლიდერია და არც მის სხვა გუნდში გადასვლაზე თქმულა რამე, არც დანარჩენებზეო, იფიქრებს ჩახედული მკითხველი და მართალიც იქნება. მაგრამ აქ ლაპარაკია არა ნჰლ-ზე, არამედ ახალ, უფრო სწორად აღდგენილ ვჰა-ს ასოციაციაზე. ადრე ვწერდით, დრაფტი გაიმართებაო, ამ უქმეებზე ჩატარდა კიდეც და... ახლებს კარგი მადაც აღმოაჩნდათ. წესდების თანახმად, ვჰა-ს მხოლოდ უკონტრაქტოდ მყოფი ნჰლ-ელების არჩევის უფლება ჰქონდა და კიდევ იმათი, რომლებიც ბოლო სამი წელიწადს დრაფტზე არ დაუყენებიათ, მათ კი ყველა ძლიერი ნჰლ-ელი მოაქციეს თავიანთი ლიგის ინტერესის სფეროში.

„კვებეკ ნორდიკსმა" პირველ ნომრად იქაური მკვიდრი, სიმონ განიე აირჩია. ასე რომ, თუ ნჰლ-ის სეზონი დროზე არ დაიწყება, რისი ალბათობაც დღითი დღე იზრდება, „ფილადელფიას" ლიდერ განიეს თავის მშობლიურ სახლთან ახლოს მდებარე არენაზე მოუწევს გამოსვლა. მეორე ნომრად ჰალიფიქსის გუნდმა ჯერჯერობით ბოსტონელი ტრევის გრინი აიყვანა, ხოლო ზემოთ ხსენებული ჰიტლი „დეტროიტმა" მესამე ნომრად აირჩია.

8-ადგილთან პირველ რაუნდში კიდევ რამდენიმე ვარსკვლავი აირჩიეს. მაგალითად, „ბოსტონის" ლიდერი ჯო ტორნტონი (№4) „ტორონტომ" მოისურვა, ხოლო ერიკ ლინდროსი (№7) — „დალასმა", თქვენ წარმოიდგინეთ, ნჰლ-ის მიერ უვადოდ დისკვალიფიცირებულ ტოდ ბერტუცისაც მოეძებნა ადგილი. იგი ვჰა-ს დამაარსებლების კლუბმა აირჩია მეექვსე ნომრად, (ამ კლუბს ჯერ არა აქვს ადგილსამყოფელი).

საინტერესოა, რომ ვჰა-ს 8 კლუბიდან მხოლოდ ორს გამოენახა მეტსახელი. გარდა ამისა, უმეტესობას თავკაციც არ ჰყავს და არც ჩემპიონატის დაწყების თარიღია ცნობილი. ეს ყველაფერი ცოტა ფარსს წააგავს და ძნელი დასაჯერებელია, რომ ვჰა-მ კონკურენცია გაუწიოს ნჰლ-ს, მაგრამ ასოციაციის მამები იხტიბარს არ იტეხენ. მათი თქმით, უახლოეს თვეებში ყველაფერი მოწესრიგდება. ფაქტი კი ისაა, რომ ვჰა-მ კარგი მომენტი შეარჩია და რაც უფრო გაგრძელდება ლოკაუტი ნჰლ-ში, მით მეტი შანსი მიეცემა ახალ ლიგას.

წესდების თანახმად, ვჰა-ს ყველა კლუბს დრაფტამდეც ჰქონდა ერთი არჩევნის უფლება. ამ ელიტარულ სიაში ისეთი ჰოკეისტები მოხვდნენ, როგორიც არის მარტენ სან ლუი, პოლ კარია (ჰამილტონი) და ბრეტ ჰალი (დალასი). ეს ის ვასკვლავები არიან, რომლებსაც უკვე გამოუთქვამთ ვჰა-ში თამაშის სურვილი.

აი, სიდნი კროსბის კი ახალ ლიგაში გადასვლა არ უნდა. მოგეხსენებათ, იგი ჩრდილო ამერიკაში უკვე მომავალ გრეცკიდ შერაცხეს, ვინაიდან 17 წლის ვუნდერკინდი ყველას აოცებს თავისი ვირტუოზული თამაშით. ასეთ ნორჩ ასაკში მან 20-წლამდელთა ჩემპიონატშიც კი მოასწრო გამოსვლა, ხოლო თავის იუნიორთა ლიგაში ჩატარებულ 59 თამაშში 135 (54+81) ქულა დააგროვა. კროსბის გულისთვის ვჰა-მ დრაფტის ასაკობრივი ზღვარი 17 წლამდე დასწია (ნჰლ-ში 18 წელია) და ასოციაციის სამოყვარულო დრაფტის №1 „ტორონტომ" აირჩია. თუ კროსბი მოისურვებს ვჰა-ში ასპარეზობას, ისტორია განმეორდება. ჩრდილოამერიკული ჰოკეის სტაჟიან მოყვარულებს ხომ შეხსენება არ უნდათ, რომ „დიადმა ვინმემ" უეინ გრეცკიმ სწორედ ამ ლიგაში დაიწყო პროფესიული კარიერა.

**სამველ ღარიბიანი**



ნჰლ-ს დანი ჰიტლის და სხვა ვარსკვლავების დაკარგვა ემუქრება




REUTERS მაიამიდან

# დიდკაცი ხალხში გაერია

ლოს ანჯელესიდან მაიამიში გადაბარგებული შაკილ ონილი იქაური „ჰითის“ აყვავების საზეიმო სიტყვას იძლევა. დევშაკმა ახალი გუნდის დარბაზ „ემერიკან ეალაინზ არენაში“ შეაბოტა და იქ მაიამის მერ ალექს პენელარისგან ქალაქის ბჭეთა გასაღები ჩაიბარა. მეორე ფოტოზე კი დევშაკის მაისურას „ჰითის“ მწვრთნელი სტენ ვან განდი იზომავს და, რა თქმა უნდა, იქვეა კლუბის პრეზიდენტი და ავან-ჩავანი პატ რაილი.




REUTERS მაიამიდან

# პელეს გვერდით

რიო დე ჟანეიროს დიდი ზარ-ზეიმით სწვევია პორტუგალიელი ლეგენდა ეუსებიო და სილვა ფერეირა და „მარაკანას“ სტადიონის მთავარ ჰოლში თავისი ნაფეხური დაუტოვებია თვით პელეს საფეხბურთო ინიციალების გვერდით.



REUTERS რიო დე ჟანეიროდან

# რუსის ჯარისქალები

რუსთა ოლიმპიური ჯარი 470 სპორტსმენს ითვლის და ყველა მათგანმა გუშინ მოსკოვში თავისი წილი ფორმა მიიღო. კეკლუცობს სინქრონულად მოცურავეთა წყვილი — ანასტასია დავიდოვა და ანასტასია ერმაკოვა.




REUTERS მოსკოვიდან

# დიდი წითელი



როდესაც სეზონი ხურს კანადაში, ალბერტოს პროვინციის დაბა-სოფლებში. კალგარის მახლობლად, დოვ ფაუნდში შლეგი ხარნი ტალახს აჭმევენ ძალიან მაგარ ბიჭებს, როგორც ეს კოვბოი ჯორდი ნეშს უყო ამ დიდმა წითელმა ხარმა. მას ასეც ჰქვია, „ბიგ რედ!“

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით ერაძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი, ირმა ჯიშკარიანი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge